აპრილი 2 1919

F 262 N 13029

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი 1919 წ. აპრილის 18 № 86

წლიწადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. აპრილის 18 № 86

ფ ა ს ი 1 მან. და 50 კ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“.

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მ. 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 30 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა „საქართველოს“ რედაქციის ფონდი.

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას.

---

გიორგი, თევდორე და იოსებ თევდორეს ძენი, თამარ თევდორეს ასული და ნინო ილიას ასული ჟორდანიანი ამით აცხადებენ, რომ მათის ტრაგიკულად დაღუპულ ძმების და მაზლების

**ერეკლე (ჩიკჩიკა) და კონსტანტინე თევდორეს ძეთ**

## ჟორდანიათა

პირველის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, ხოლო მეორის ორმოცისაზე, წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება შაბათს, აპრილის 19 ს, ანჩისხატის ტაძარში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 2—2308—2

---

თავზარდაცემულნი გრიგოლ დიმიტრის ძე, დარია სოლომონის ასული, დიმიტრი გრიგოლის ძე, მარიამ და ეკატერინე გრიგოლის ასულნი გაბაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფასის და დაუვიწყარის დის, მულის და მამიდის

**ბარბარე დიმიტრის ასულის**

## გაბაშვილის

უდროვოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები განსვენებულის ბინაზე (მეჯავორი ქუჩა, № 14) ხუთშაბათს ნაშუადღევის 1 საათზე და პარასკევს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კალოუბნის ეკლესიაში შაბათს, აპრილის 19-ს, დილის 9 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 2—2306—2

---

გულდამწვარი მეუღლე მარიამ გაბრიელის ასული ფირცხალავასი შვილებით: ვლადიმერით, მარგალიტათი, ვალენტინათი, დედა სალომე ფირცხალავასი, სიდედრი ელისაბედ თელიასი, სიმამრი გვაჩი თელია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელ და უძვირფასესის

## მღვდელ ბესარიონ ფირცხალავას

გარდაცვალებას სოფ. კეთილარში (სენაკის მაზრა) 15 აპრილს ა. წ. დაკრძალვა მოხდება 19 აპრილს იქვე წმიდა გიორგის ეკლესიაში. (1—1313 1)

---

სილიბისტრო ვასილის ძე კვაიჭაძე მეუღლით და შვილებით კონსტანტინე და თამარით გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას 15 აპრილს სოფ. კეთილარში (სენაკის მაზრა) მათი დაუვიწყარი მოკეთის და მეგობრის

**მღვდლის ბესარიონ**

## ფირცხალავასი

დაკრძალვა მოხდება 19 აპრილს წმიდა გიორგის ეკლესიაში. 1—2313—1

---

კნეინა ბარბარ დავითის ასული თუმანიშვილისა, ნინა დავითის ასული ევერტი შვილებით; მარიამ დავითის ასული და სვიმონ დიმიტრის ძე იასტრებსკები შვილებით და ელენე დავითის ასული და ივანე ვასილკოვები ბავშვებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ მათი დაუვიწყარი

**კნეინა ქეთევან დავითის ასული**

## თუმანიშვილის

სულის მოსახსენებლად 21 აპრილს ს. ხელთუბანში გარდახდილ იქნება პანაშვიდი. (1—2316—1)

---

მეუღლე თ. სახოკია, შვილები—თინათინ და ვახტანგი, მამა დეკანოზი ანტონ კეკელია ძმებითა და შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებთ რომ წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

## ნადეჟდა სახოკიას

სულის მოსახსენებლათ გადახდილ იქმნება ხუთშაბათს, აპრილის 24 სოფ. ბანძაში.

---

ღრმად დამწუხარებულნი მამა გიორგი, იულიტა, ვერა, ანდრონიკ, პლატონ და ეპრასია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ რეშტში (სპარსეთი) უდროვოდ გარდაიცვალა პირველთა საყვარელი შვილი, მეორის მეუღლე და უკანასკნელთა ძმა, თბილისის საეპარქიო გიმნაზიის მასწავლებელი, ქართულ უნივერსიტეტში ქართ. ლიტერატურის კათედრაზე საპროფესოროდ დატოვებული

## სილიბისტრო ლომია

1—2312—1

---

კახელ მეღვინეთა და მევენახეთა აქციონერული საზოგადოება

## „კახური ღვინო“

ამით აცხადებს მევენახეთა საყურადღებოდ, რომ საზოგადოებამ აიღო წარმომადგენლობა ინჟენერი ჩხეიძისაგან, მის მიერ გამოგონილ გოგირდის შესაყრელად ხელის საბერველი **„გუქი“-ს** გასავრცელებლად კავკასიაში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სავაჭრო სახლი „კომერსანტი“-ს კონტორას. თბილისი, რუსთველის ქუჩა (გოლოვინის პროსპექტი) № 10. (1—2314—1)

---

საკათოლიკოზო საბჭოს

## იურისკონსულტის ადგილი თავისუფალია

თვიური ჯამაგირი ათისი (1000) მანეთი.

თხოვნები მიიღება საკათოლიკოზო საბჭოში 1919 წ. მაისის პირველამდე. (3—2315—1)

---

## გემი „ლულია“

ბათომიდან გავა აპრილის 24-ისათვის, გაივლის ფოთში, სოხუმში, სოჭაში, ტუაპსეში, ნოვოროსიისკში და დაბრუნდება იმავე გზით. შემდეგ გაემგზავრება ანატოლიის ნაპირით კონსტანტინეპოლში.

მიიღება გადასაზიდათ ტვირთი და გადასაცემად ყოველგვარი დავალებანი მიიღებიან აგრეთვე მგზავრები. ბათომი, სანაპირო (набережная) № 2 ჩირინგარიანის სახლი. 2—2

---

რესტორანი **პ ა რ ი ზ ი** რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

სრულიად ახლა გადაკეთებული

### ცალკე მოწყობილ დარბაზებით

### გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებო: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიურ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

### საგანგებო ყავა-ხანა

ფასები ზომიერია

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.

(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

სასმელები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—25 პატივისცემით: ს. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

---

## ლექციის კურსები

მ ს ა ხ ი ო ბ

## ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლექციის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—20

---

პირველ მაისიდან გაიხსნება რუსულ-ქართული საზაფხულო

## საბავშო ბაღი

## გიგინეიშვილისა

საგნები: ფრანგული ან ინგლისური (მშობლების სურვილის მიხედვით) ფიზიკური ვარჯიშობა, ცეკვა, პლასტიკა, მუსიკა, ხატვა და ყვავილების მოვლა.

მიიღებიან ბავშვები 4—9 წლამდის.

ჩაწერა და ცნობების მიღება 3 საათიდან 6 საათამდის.

ოლღას ქუჩა № 31. ბინა 2. საბავშვო ბაღი. ტელ. 2—04.

12—2280—6

---

მედიცინის დოქტორი

## ა. ბ. მაჭავარიანი

ქირურგიულ ავადმყოფთათვის. იღებს საღამოს 5—7 საათ. მიხეილის ქ. სახლი ოდამოვისა № 111, (მე-2 ფლიგელი, ეზოში) საველე ტელეფონი № 43.

60—2171—25

---

ვაზის, ტომატის და სხვა მცენარეთა შესაკონავად ფუთობით იყიდება

## დრაცენა

ელისაბედის ქუჩა, № 105—ეზოში 10 საათ. 12 ს.-მდე.

1—2311—1

---

## სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

### სააღდგომო რეპერტუარი

ორშაბათს 21 აპრილს

დ ი ლ ი თ: **აბესალომ და ეთერი** — ს ა ღ ა მ ო თ ი: **სამსონ და დალილა**

სამშაბათს 22 აპრილს

დ ი ლ ი თ: **რუსლან და ლიუდმილა** — ს ა ღ ა მ ო თ ი: **ტრავიატა**

ოთხშაბათს, 23 აპრილს

დ ი ლ ი თ: **აიდა** — ს ა ღ ა მ ო თ ი: **კარმენი**

ხუთშაბათს 24 აპრილს „ხევილიელი დალაქი“ და „ალეკო“, პარასკევს 25 აპრილს „აბესალომ და ეთერი“, შაბათს 26 აპრილს „პიკოვაია დამა“, კვირას 27 აპრილს დილით საბავშო წარმოდგენა, საღამოთი „ფაუსტი“.

---

## სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, აპრილის 28-ს

ქართული ტანსავარჯიშო საზოგადოება

## „შევარდენი“

ჰმართავს პირველ ტანსავარჯიშო

### საღამოს

1.

ქ-ნ შულგინას, კალანდაძე—აგასოვის, ხპიტკოს; ბ-ნ ხარაჯიშვილის, პოლიაევის, ინაშვილის, ქურხულის მონაწილეობით დ. არაყიშვილის ოპერა.

### თქმულება შოთა რუსთაველზე

2.

### ტან-ვარჯიშობა

ა) ბავშვთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ბ) ბავშვთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. გ) ქალთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. დ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ორძელზე. ე) ქალთა თავისუფალი ვარჯიშობა (2 ვარჯიში). ვ) ვაჟთა ჯგუფის ვარჯიშობა ღერძზე. ზ) ვაჟთა თავისუფალი ვარჯიშობა (3 ვარჯიში)

3.

ა) სიმბოლიური სურათი (საქართველო და „შევარდნობა“). ბ) საერთო ჯგუფი.

ყველა ვარჯიშობის დროს დაუკრავს მუსიკა.

---

## ბათომის ახალი ვითარებისთვის

ინგლისის მისიის მოქმედება ამ უკანასკნელ დღეების თითქმის რადიკალურად განირჩევა იმ მოქმედებისგან, რომელსაც იგი აწარმოებდა ამ რამოდენიმე თვის განმავლობაში. არვისთვის დაფარული არ იყო, რომ ბათომის მხარესა და საქართველოში ინგლისის შემოსვლამ, რუსეთის აღდგენის მოტრფიალეთ დიდი იმედები აღუძრა, და დროს დაუკარგავათ მათ მუშაობას ხელიც მიჰყვეს. ინგლისის მისია იწყნარებდა ამ ელემენტების მოქმედებას და მთელი ბათომის ოლქის მართვა-გამგეობა, სკოლა და სამართალი ფაქტიურად ხელში ამ ხალხს ჩააბარა, ასე რომ ნელ-ნელა ბათომის მხარე გადაიქცა ნამდვილ რევოლუციის წინა დროინდელ რუსეთის ერთ-ერთ ადმინისტრატიულ ერთეულად.

ბათომშივე იდგა მოხალისეთა რაზმი, რომელიც თანდათან იზრდებოდა. აქ თავს იყრიდა ყველა მომქმედი წევრი დენიკინის პოლიტიკისა, არა მარტო ამიერ-კავკასიიდან, არამედ სამხრეთ რუსეთიდანაც. ნამდვილი ბაზა მზადდებოდა სამხრეთიდან საქართველოსი და მთელი ამიერ-კავკასიის წინააღმდეგ შემოსატევად, იმ დროს, როდესაც ჩრდილოეთიდან თვით დენიკინი იმავ საქართველოს წინაღმდეგ უკვე აქტიურ მოქმედებას აწარმოებს.

ბათომის ოლქის ყველა სამოსამართლო დაწესებულება დაუქვემდებარეს ნოვოჩერკასკის სამოსამართლო პალატას. ერთის სიტყვით, ინგლისის მისიის თვალწინ და მისი შეწყნარებით ხდებოდა ბათომის მხარის რუსიფიკაცია, მისი მოწყვეტა სახელმწიფოებრივ—ადმინისტრატიულად საქართველოს სხეულიდან და დაკავშირება დენიკინის რუსეთის სახელმწიფოებრივ აპარატთან. ასეთი იყო აღებული საერთო კურსი ინგლისის მისიის პოლიტიკის ამ ოთხი თვის განმავლობაში. ბათომ-არტაანში აშკარა იყო, რომ ამ პირობებში ილახებოდა საქართველოს ინტერესი, რომ გადალახული იყო თვით ბათომის მხრის მკვიდრთა ინტერესებიც; სინამდვილე და სამართალი სრულიად სახეში არ იყო მიღებული, არ იყო დაცული; ყველაფერი, თითქოს შეთანხმებული იყო წინადადებულ პოლიტიკასთან. ეს პოლიტიკა, რომელიც ანტანტის საერთო პოლიტიკა უნდა ყოფილიყო, გულისხმობდა მაშინ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას უმთავრესად მოხალისეთა ჯარის საშუალებით. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის ურთიერთობა, რომელიც ინგლისის მისიამ დაიჭირა ბათომსა და სხვაგან მოხალისეთა ჯარისა და მის პოლიტიკის წარმომადგენლებთან.

დღეს ბოლშევიკების მიმართ ანტანტის შეხედულების გამოცვლის შემდეგ, ეს ცვლილება ადგილობრივათაც უნდა გამოცხადებულიყო; და ის ფაქტები, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს აქ აქვთ ადგილი, სწორედ ამ ცვლილების მომასწავებელია. ამ მხრივ მეტად მეტყველია ინგლისის მისიის 14 აპრილის ბრძანება, რომლის ძალით ბათომის ოლქის მართველი საბჭო გაუქმებულია.

ამგვარად სულ უნაყოფოდ ჩაიარა და უმიზნოდ დარჩა მოხალისეთა პოლიტიკის სულის ჩამდგმელთა მთელი ოთხი თვის მოღვაწეობა, მათი პოლიტიკური ზრახვები და განზრახებული პლანები; ყოველშემთხვევაში ბოლო მოეღო ბათომის მხარის ადმინისტრატიულ-სახელმწიფოებრივ ორიენტაციას დენიკინის სახელმწიფოებრივ აპარატისკენ.

საკითხავია მხოლოდ, თუ რა სახე მიეცემა ამიერიდან იმ დაწესებულებებს, რომელნიც მცირე მასშტაბით

# უკანასკნელი ცნობები

გუშინ დილით ჩვენი ჯარი დენიკინის წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა.

მიუნხენში ისევ კომუნისტებმა გაიმარჯვეს.

დიუსენდორფში მთავრობის ჯარსა და სპარტაკელებს შორის ბრძოლაა.

საზავო კონფერენცია აღმოსავლეთში საგანგებო კომისიასა ჰგზავნის.

მოსკოვში დიდი მიტინგები იმართება, სადაც მოუწოდებენ ხალხს კოლჩაკის წინააღმდეგ. გაზეთებიც ამგვარი მოწოდებებით სავსეა.

გერმანია სამხრეთ პოლონეთის ტერიტორიას მოითხოვს.

---

სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებდნენ ბათომის მხარისთვის.

ყოვლად შეუძლებელია მათი დატოვება დღევანდელის რუსულის სახით. აუცილებელია ამ დაწესებულებების ხალხთან დაახლოვება, როგორც მათი შედგენის პრინციპით, აგრეთვე ამ დაწესებულებათა საწარმოვო ენის მხრივაც. ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის ელემენტური უფლება პატივცემული იქნება და დაუხანებლად შემოღებულ იქნება მათი დემოკრატიზაცია და ნაციონალიზაცია. ვინაიდან შეუძლებელია ინგლისის მისიას დღეს ორი აზრი ჰქონდეს ბათომის მხარის ეროვნულ ვინაობაზე და ვინაიდან საქართველოში სახელმწიფო ცხოვრების და დაწესებულებათა დემოკრატიზაცია-ნაციონალიზაციას აგერ ერთი წლის ტრადიცია და გამოცდილება აქვს, ამიტომაც ბათომის მხრის ამ ნიადაგზე მოწყობა საქართველოს ფაქტიურ ხელმძღვანელობას უნდა დაეთმოს. ბათომის მხარის უფლებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობის გამორკვევა ჯერხნობით ისევ-ისევ საზავო კონფერენციის კომპეტენციაში დარჩება.

საქართველოს მთავრობა ამ პროგრამით უნდა მიადგეს ბათომის მხარის ცხოვრებაში შექმნილ ამ ახალ მომენტს. დარწმუნებული ვართ, რომ მის ამგვარ დემარშებს ინგლისის მისია დამაკმაყოფილებელი სამართლიანობას თვალით შეხედავს.

## საერთო მტრის წინააღმდეგ

ჩრდილოეთის საფრთხე უკანასკნელ დროს განსაკუთრებული სიმკაცრით იჩენს თავს. შავრაზმელ რუს ოფიცრებისაგან შემდგარი „მოხალისე არმია“ დაუნდობლად ექვეთება კავკასიის ახალ სახელმწიფო ერთეულებს და ლამობს მათ იძულებით შეერთებას დაშლილ რუსეთთან.

დენიკინის ბრბოების ყურადღება უმეტესად საქართველომ მიიპყრო: ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებლობის განადგურებით მთლიან რუსეთის აღდგენის მოტრფიალენი სასიკვდილო ლახვარს უმზადებდნენ კავკასიის ყველა სხვა სახელმწიფოებსაც, რადგანაც „განუყოფელი რუსეთის იმპერიის“ მებაირახტრენი სამართლიანად დარწმუნებული არიან, რომ კავკასიის თვითგამორკვეულ ხალხთა შესამუსრავად პირველ ყოვლისა ძლეულ უნდა იქნეს მათ შორის უფრო ძლიერი და სახელმწიფოებრივად მოწყობილი. ამიტომ იყო, რომ აგრესსიულ გენერლებმა გრანდიოზულ მასშტაბით შემოტევა დაიწყეს სწორედ გაგრისა და სოჭის ოლქებიდან და ამ ადგილებში დროებით დამკვიდრების შემდეგ მიესივნენ მთიელთა კავშირის რესპუბლიკას.

„მოხალისე არმიის“ წინააღმდეგ ბრძოლა კავკასიის სახელმწიფოებისათვის თვითოეულად არ არის ადვილი. გააფთრებულ მონარქიულ ბრბოს უკუსაგდებლად საჭირო იყო ამ სახელმწიფოთა შეთანხმებული და მწყობრი საომარი მოქმედება, მაგრამ კავკასიის სახელმწიფოთა შორის ეს მეტად საჭირო შეთანხმება ვერ შესდგა. მიზეზების განხილვას აქ არ შევუდგებით! მიზეზი მრავლისაგან მრავალი იყო და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ურთიერთ დამოკიდებულების ხან-მოკლე ისტორია საკმარისად ამოწმებს შეთანხმების დამაბრკოლებელ მიზეზების არსებობას.

ცხადი კი იყო ერთი გარემოება: რუსის ჯარი საერთოდ „განდგომილ“ კავკასიის დასასჯელად მოიწევდა და შედეგი მის მიერ მოსალოდნელი ოკუპაციისა ერთი და იგივე იქნებოდა ყველასათვის...

„მოხალისე არმიასთან“ პირველი შეტაკება საქართველოს მოუხდა! შავი ზღვის პირას საქართველოს მხედრობის თავდადებულ ბრძოლით მეზობელი სახელმწიფონი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ რესპუბლიკის მცირერიცხოვანი ლაშქარი თავის სამშობლოსთან ერთად მთელი კავკასიის თავისუფლებასაც უზრუნველ-ჰყოფდა.

მცირე დროით შეწყვეტილი ოპერაცია უნდა გაგრძელებულიყო, რომ თავხედ მტერს პირი ებრუნა ჩრდილოეთისკენ და ხალხის შემწუხებელი მძარცვავი „მოხალისენი“ გაეყვანა ჩვენი სამშობლოს საზღვრებიდან.

საფიქრებელია, დაწყებული შეტევა ჩვენი ჯარის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება. მდინარე ბზიბთან რესპუბლიკის ჯარი კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ბედს უზრუნველ-ჰყოფს ჩრდილოეთის ურდოებისაგან...

შავი ზღვის ნაპირას საქართველოს ჯარი და კავკასიონის ქედის გადაღმა მთიელები მედგრად იცავენ კავკასიის ერთა და სახელმწიფოთა მყუდროებას. ეს ორი საომარი პუნქტი გადასჭრის ჩვენი არსებობის საკითხს. ამ ორ ადგილას საერთო მტერმა უნდა იგემოს განთავისუფლებულ ხალხთა მახვილის სიძლიერე, რომ შემდგომში ავანტიურული გამოსვლა აღარ განიმეოროს.

მთიელ ხალხთან საქართველოც ებრძვის ეროვნულ თავისუფლების დაუძინებელ მტერს. შავი ზღვის პირას დაწყებული საომარი მოქმედება თავდებია იმისი, რომ საქართველო სახელმწიფო დროშას არავის შეალახვინებს და მეგობრულ სახელმწიფოს მუდამ გვერდში ედგება.

მტრისაგან შეწუხებული მთიელთა რესპუბლიკა საქართველოსგან დახმარებას მოელის და იმედი მისი აღსრულებულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს ჯარისა და გვარდიის სოჭის ოლქში შეტევით.

თავისუფალ ერთა დამჩაგვრელებთან ბრძოლაში საერთო თანაგრძნობა უცილობლად ჩვენსკენ არის და მოკავშირეთა სარდლობის მორალურ დახმარებაშიც ჩვენ ეჭვი არ გვებადება!

ამ იმედით გამხნევებული საქართველოს და მთიელთა რესპუბლიკის ჯარი მედგრად შეუტევს მტერს და მით ერთხელ და სამუდამოთ აგვაცდენს საერთო საფრთხეს.

## მთავრობის წრეებში

10 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

**თბ. 1 გიმნაზიის მამულის გაყიდვისათვის.**

თბილისის 1 გიმნაზიის მამულის იჯარით გაცემა მოხდეს თანახმად არსებული კანონისა—შემუშავებულ იქმნას მთავრობისათვის მისაღები პირობები აღნიშნული მამულის იჯარით გაცემისა, გამოცხადდეს საჯაროდ და მოხდეს ეგრედ წოდებული შეჯიბრება.

**სამხედრო უწყებისათვის.**

ნება მიეცეს სამხედრო უწყებას შეიძინოს 1000 ფუთი სიმინდი, რომლის საფასური გადახდილ იქმნას ყაზბეგის სასურსათო საწყობში შენახულ ნორმით და საცვლებით, სამხედრო მინისტრის მოხსენებაში აღნიშნული პირობების თანახმად.

**სახელმწ. დაწესებულებათა მოზარდ მოხელეთათვის.**

მოზარდებს, რომელნიც არიან დაბალ მოსამსახურეებათ სახელმწიფო სამსახურში მიეცეთ 150 მანეთი მომავალ მომატებული ჯამაგირის ანგარიშში.

**დ ა ნ ი შ ვ ნ ა.**

სატრანსპორტო საზოგადოების თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქმნას გ. თუმანიშვილი, მის ამხანაგად არდიშვილი.

**ადერბეიჯან — საქართველოს რკინის გზა.**

ადერბეიჯანთან რკინის გზის შესახებ ხელშეკრულობის პროექტი დადასტურებულ იქმნას.

**დღიურ მოხელეებს.**

იუსტიციის მინისტრის ამხანაგის მოხსენების შესახებ დადგენილ იქმნას იმ შემთხვევებში, როცა სამინისტროები ან სხვა დაწესებულებანი აგზავნიან მოხელეებს რაიმე საქმისათვის, ამ უკანასკნელთ მიეცეთ 40 მან. დღიურად.

---

დაევალოს იუსტიციის მინისტრს წარმოადგინოს კანონ-პროექტი მოხსენებაში აღნიშნულ მოხელეთათვის დღიურისა და სამგზავრო ფულის გადიდების შესახებ. მანამ კი ამისათვის იუსტიციის მინისტრს გაეხსნას 10 მილ. ფონდიდან 60,000 მანეთის კრედიტი.

**წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლისათვის.**

გადაიდოს მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 30,525 მ. წინამძღვარიანთ კარის სასოფლო მეურნეობის სკოლის შესანახად 1919 წ. პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე, ხოლო აღნიშნულ სასწავლებლის მოსამსახურეთა ჯამაგირების გადიდების საკითხი დაკავშირებულ იქმნას საერთოდ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატების საკითხთან.

**დ ა ნ ი შ ვ ნ ა:**

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგად დაინიშნა ქუთაისის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლის აღმასრულებელი.

**ბათომის ოლქში შედგენილ ნასყიდობათა შესახებ.**

საკითხი ბათომის რაიონში შედგენილ ნასყიდობის დაიტკიცების შესახებ ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ, დარჩეს ღიად.

**ინგლისის მისიის შუამდგომლობის შესახებ,**

ინგლისის მისიის თხოვნა სასამართლო დაწესებულებათა საბუთების გადაცემის შესახებ ბათუმის გენერალ-გუბერნატორისათვის, გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს რათა მის მიერ შეკრებილ იქმნას სათანადო ცნობები.

**საგზირო საბაჟო მარკების დამზადება.**

სახელმწიფო ქაღალდების დამამზადებელ ექსპედიციაში დამზადებულ იქმნას სასამართლოსათვის საჭირო საგზირო და საბაჟო მარკები.

**ფოსტა-ტელეგრაფის წინააღმდეგ აღძრულ საჩივრის შესახებ.**

ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მიმართ სასამართლო დაწესებულებაში აღძრულ საჩივრების განხილვა შეჩერებულ იქმნას.

## სომეხთა მოთხოვნილება

საქართველოს სომეხთა ეროვნულ საბჭომ დაადგინა დამფუძნებელ კრებაზე განსახილველად წარადგინოს საქართველოს სომეხთა კულტურული ავტონომიის პროექტი. პროექტის შემუშავება მიენდო ა. აბოვიანს და ი. ყაზარიანს.

## ქრონიკა

◆ **დღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, აპრილის 24-ს.**

**მუშების ხელფასის გადიდებისა, სტამბის ხარჯების და ქაღალდის ფასის გაძვირების გამო ჩვენი გაზეთი შემდეგი ნომრიდან ეღირება მანეთი და ათი შაური. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ეღირება 30 მან.**

◆ გუშინწინ თფილისში ჩამოვიდა ფინეთის წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბერევი 17 აპრილს წარუდგა გარეშე საქმეთა მინისტრს და შემდეგ გაემგზავრა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში სხვა და სხვა სავაჭრო საქმეებზე მოსალაპარაკებლათ.

◆ საგანგებო სასამართლომ 15 და 16 აპრილს ოზურგეთში გაარჩია შარშან აგვისტოში ნატანების გზაზე ფოსტის გაცარცვის საქმე, სადაც ყაჩაღებმა მოკლეს დავით გუგუნავა, ილიკო ტუღუში, მამულაიშვილი, მახარაძე და სხვები. ექვს ყაჩაღში ორი აღმოჩნდა მოკლული, ორს დაეძებენ, სასამართლოს გადაეცა ნაკაიძე და მიქაბერიძე, როგორც დამცემნი, ნატანების ფოსტის უფროსი ქუონია კი, როგორც მათი მოსაიდუმლე. სასამართლომ ყველა ბრალდებული დამნაშავეთ იცნო ნაკაიძეს და მიქაბერიძეს მიუსაჯა დახვრეტა, ქუონიას წელიწად ნახევრის ციხე. ხალხი კმაყოფილი დარჩა განაჩენით.

◆ **ჩათახის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნის ამოქმედებისათვის.** ფინანსთა სამინისტროში ინჟენერ ბრაილოვის თავმჯდომარეობით შესდგა საგანგებო თათბირი ჩათახის (ბორჩალოს მაზრაში) თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში მუშაობის განახლების შესახებ. აირჩიეს კომისია რომელსაც დაევალა დეტალურად შეიმუშაოს ქარხნის ამოქმედების საკითხი. კომისის სხდომა დანიშნულია დღეს 18 აპრილს სამთო სამართველოში.

◆ **ლიკვიდაციის წესი.** სახელმწიფო კონტროლიორი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ 1918 წლ. 5 ივლისის კანონით სალიკვიდაციო ჯილდო ეძლევათ დაწესებულებათა გაუქმების დროს და არა მოსამსახურეთა კერძო დათხოვნის გამო. ამისდამიხედვით დაკმაყოფილებულ იქმნას მოთხოვნილება იმ მილიციონერთა, რომელნიც არა ლიკვიდაციის წესით იყვნენ დათხოვნილნი თბილისის საქალაქო მილიციიდან.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტების შესახებ.** მიწად-მოქმედების მინისტრმა, ქუთაისის და თბილისის მევენახეობა მეღვინეობის კომიტეტის გაუქმებისა და ასეთ კომიტეტების სამაზრო ერობებთან დაარსების შესახებ, მთავრობას კანონ-პროექტი წარუდგინა.

◆ **ახალციხის ომის ზარალისა და მიზეზების გამორკვევისათვის.** ახალციხის მაზრაში გენერალ კვინიტაძემ 4 კომისია შექმნა პირველი კომისიას ევალება აჯანყების მიზეზების გამორკვევა და აჯანყების ხელმძღვანელთა გამონახვა. მეორე და მესამე კომისიას ევალება დაზარალებულთა თხოვნების გარჩევა, მეოთხე კომისიას დაევალა მიიღოს ზომები აბასთუმანში დატაცებულ სახელმწიფო და კერძო ქონების აღმოსაჩენად და პატრონთათვის დასაბრუნებლად.

◆ **მდგომარეობა ახალქალაქის მაზრაში.** ახალ-ქალაქის მაზრის კომისარი ატყობინებს შინაგან საქმეთა სამინისტროს რომ ახალ-ქალაქის მაზრაში სურსათის ნაკლებობა იზრდება. თესლის უქონლობის გამო მიწები დაუთესავი რჩება არ არის ფოსტის მიმოსვლა, კომისარი სამინისტროს სათანადო დახმარებას სთხოვს.

### ზღვ ოსნობა.

◆ **ნავთ-სადგურთა სამართველოს გადაცემა.** ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროში პრინციპიალურად გადაწყვეტილ იქნა, რომ ნავთსადგურთა მმართველობა გადაეცეს გზათა სამინისტროს. სავსებით საკითხი გადაიჭრება, როცა რკინის გზის კომისია გამოარკვევს ნავთსადგურის მდგომარეობას და როცა ვაჭრობა-მრეწველობის სპეციალური კომისია შეიმუშავებს ნავთსადგურების გადაცემის პირობებს.

◆ **ფოთის საზღვაოსნო სასწავლებელში.** ფოთის საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი მოხსენებით წარუდგა განათლებისა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრს. მოხსენებაში აღნიშნულია ხსენებული სასწავლებელი საზღვაოსნო სასწავლებლად გადაკეთების შესახებ.

### სხვა და სხვა ამბები

◆ **თავდასხმა.** 16 აპრილს, სალამოს ბოტანიკურ ბაღის შესახვევში მიმავალ ხაბავას თავს დაესხნენ და წაართვეს 6,317 მან.

16 აპრილს, პლეხანოვის პროსპექტზე, ადამოვის საელექტრონო სადგურში შეიჭრნენ რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი, რომელთაც კანტორის გამგეს ნიკოგოვს წაართვეს ოქროს საათი და კასის გასაღები. კასიდან წაიღეს 40,000 მანეთი და მიიმალნენ.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ზაქარი ჭიჭინაძის წიგნები: „ისტორია ქართულ მკურნალობისა“ და „ქართულ მწიგნობრობის ისტორიიდან“. თითო წიგნი ღირს 2 მანეთი და სერ. გერსამიას „ზოგიერთი მიზეზი მაშვრალთა ჯგუფის გამოყოფისა“.

◆ **„შევარდენის“ საღამო.** ორშაბათს, აპრილის 28 ს სახელმწიფო თეატრში ქართველი „შევარდნები“ ჰმართავენ საგიმნასტო საღამოს. მონაწილობას იღებენ რუსეთში განთქმული ქართველი შევარდნები.

◆ **კონვენტი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკეთა შორის.** ამ დღეებში იუსტიციის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი კონვენციებისა, რომელნიც დადებულ უნდა იქმნან ადერბეიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკათა შორის. 1—სამივე რესპუბლიკათა სასამართლო დაწესებულებათა შორის უშუამავლო კავშირის დაჭერის შესახებ. 2—დამნაშავეთა გაცემის შესახებ.

◆ **საშუალო ტეხნიკ. სასწავლებელში.** თბილისის საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭომ დაადგინა უდიდესი ყურადღება მიაქციოს მოწაფეთა პრაქტიკულ მომზადებას და სავალდებულოდ გახადა პირველ კლასიდანვე საზაფხულო პრაქტიკა. პედაგოგიური საბჭო იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მიზნის განხორციელებაში დაეხმარებიან რკინის გზების სამართველოები, გზატკეცილების ოლქი, თოფხანის, საავტომობილო და სხვა სახელოსნოების გამგეები.

◆ **საქარ. ტეხნიკურ საზოგადოებაში.** საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ტეხნიკურ დარგში დაბალი სპეციალისტების სიმცირეს და მოუმზადებლობას, აგრეთვე მათი მნიშვნელობას ქვეყნის დაწინაურების საქმეში და გადასწყვიტა გახსნას ამ ახლო მომავალში ტეხნიკური კურსები. შემუშავებული გეგმა მალე იქნება გამოქვეყნებული.

◆ **გაძარცვა.** 16 აპრილს სალამოს დიდუბის ეკლესიის მებაღე ქითავას დაეცენ რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი, დასჭრეს ქითავა და წაიღეს 5000 მანეთის სხვა და სხვა ნივთები. გაძარცვეს აგრეთვე ქითავასთან სტუმრად მყოფი კანკავა. უკანასკნელს წაართვეს 1,500 მანეთი.

◆ **ყაჩაღები ზუგდიდის მაზრაში.** ზუგდიდის მაზრის კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებს, რომ იქ დაუტუსაღებიათ ცნობილი ყაჩაღი სამსონ ქოტია მეორე ცნობილი ყაჩაღი სისონავა გაქცეულა.

◆ **გადასახადთა და სახელმწიფო ხაზინის** სამმართველო ამით აცხადებს სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის გამღებლების საყურადღებოთ, რომ განცხადების შეტანის ვადა დებულების 82-ე მუხლის და ინსტრუქციის 132-ე პარაგრაფის წესით, იმ შემოსავლის შესახებ, რომელზედაც უნდა შეეწეროს აღნიშნული გადასახადი 1919 წ., ფინანსთა მინისტრის ნებართვით, ფიზიკურ პირთათვის გადადებული 1-ლ მაისამდის. სამმართველო მოუწოდებს მოქალაქეებს საშემოსავლო გადასახადის გამღებლებს შეიტანონ აღნიშნული განცხადება არა უგვიანეს ზემონაჩვენებ ვადისა, ჯარიმის თავიდან ასაცილებლად.

### იუსტიციის სამინისტროში

◆ **მოსამართლის მოქმედების გამოძიება.** გაზეთ „ერთობის“ 17 აპრილის ნომერში № 86 მოთავსებულ ხონელი კორესპონდენტის წერილის გამო, სადაც ლაპარაკია ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის მექრთამეობაზე და სხვა უკანონობაზე. იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ჯაფარიძემ, წინადადება მისცა ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, საჩქაროდ გამოიძიოს ეს საქმე, სხვათა შორის, ხსენებული გაზეთის ხონელი კორესპონდენტის დაკითხვითაც.

### სამხატვრო ქრონიკა

◆ ორშაბათს, 21 აპრილს, ქართ. კლუბის თეატრში ქართველ მსახიობთა ამხანაგობა ვასო აბაშიძისა და ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით მართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება მხიარული კომედია „ხანუმა“. ესევე დასი მეორე დღესვე ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით მიემგზავრება კახეთს წარმოდგენების გასამართავად. წარმოდგენები გაიმართება შემდეგ ადგილებში: სიღნაში, თელავს, ციხეში, გურჯაანში.

◆ **„თეატრი და ცხოვრებას“** მორიგ (4) ნომერი სააღდგომოდ გამოდის. ნომერი მდიდარია სურათებით, სხვა და სხვა მასალით. ამ ნომერში მოთავსებულია გალაქტიონ ტაბიძის ლექსი „ღრუბლები ოქროს ამურებით“, რომანის „განახლებული სიცოცხლის“ გაგრძელება „წარსულის ლანდები და ვერაგთა ქსელები“ (ვლ. გუდიაშვილის ნახატებით). დაბეჭდილია საუცხოვო ქაღალდზე და ფასი 5 მან.

◆ **სახაზინო თეატრი.** სააღდგომო რეპერტუარი ასეა შედგენილი:

21 აპრილს დილით „აბესალომ და ეთერი“, საღამოთი „სამსონ და დალილა“.

22 აპრილს დილით: „რუსლან და ლიუდმილა“, საღამოთი: „ტრავიატა“.

23 აპრილს, დილით; „აიდა“, საღამოთი „კარმენი“.

**დრამა „ტარტო“.** 21 აპრილს, დილით, „პრინცესა ერიკის ყვავილები“, საღამოთი: „შერლოკ ხოლმსი“.

22 აპრილს, დილით: „უკანასკნელი ნება“, საღამოთი: „ქალი კამელიებით“.

23 აპრილს, დილით „მასხარის ნიღაბის ქვეშ“, საღამოთი „ცოცხალი მანეკენი“.

◆ **„შვიდი მნათობი“.** რედაქციამ მიიღო ყოველთვიური ჟურნალი „შვიდი მნათობი“, რომელშიაც მოთავსებულია ი. გრიშაშვილი—ლოტოსი (ლექსი), ლეო ქიაჩელი—მკვლელობა კოხტა გორაზე, პოლიკ. კაკაბაძე—სისხლი სინათლემდე, ნ. ლორთქიფანიძე—ერთი დრამის ეპილოგი, სანდრო შანშიაშვილი — შორეული დედოფალი, ედ. როსტანისა. სამხატვრო წერილები დ. კაკაბაძისა და წერილები: მალაქია ტოროშელიძისა, ა. ნემიროვისა, რ. არსენიძისა, შ. გოგებაშვილისა. რეპროდუქციები—დ. კაკაბაძისა და ვლ. გუდიაშვილისა. წიგნი სუფთად არი გამოცემული შეიცავს 314 გვერდს და ღირს 25 მანეთი.

## მუნიციპალური ცხოვრება

**ლანჩხუთის ლაბორატორია**

საქართველოს ქალაქთა კავშირის უმთავრეს კომიტეტმა დაადგინა ქ. ლანჩხუთის თვითმართველობის წინადადებისამებრ დასახელებულ ქალაქში გაიხსნას ლაბორატორია. მოწყობილობას ქალაქთა კავშირის უმთავრესი კომიტეტი გაუგზავნის, მხოლოდ ლაბორატორიის შენახვა კი ლანჩხუთის ქალაქის თვითმართველობამ იკისროს.

**მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა.**

ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა სარეკომენდაციო კომისიამ ამოირჩია ორი კანდიდატი ორ მომრიგებელ მოსამართლეს განთავისუფლებულ ალაგზე ბ ნ ტყემალაძის ალაგას, რომელიც არჩეულ იქმნა მომრიგებელ მოსამართლეთა ტფილისის ყრილობის თავმჯდომარეთ და ბ-ნ კოკაშვილის ალაგას, რომელმაც უარი თქვა მომრიგებელ მოსამართლეს თანამდებობის ასრულებაზე. კომისიის მიერ კანდიდატებათ დანიშნულნი არიან ი. ავშაროვი და ვ. ჯაფარიძე, რომელთაც ქალაქის საბჭო მომავალს თავის სხდომაზე კენჭს უყრის.

—

იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ქალაქის მოურავს წინადადება მისცა წარუდგინოს მას მომრიგებელ მოსამართლეების არჩევნების წარმოება დასამტკიცებლად და ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეულ მომრიგებელ მოსამართლეებს წინადადება მისცეს მათი დამტკიცების მიუხედავათ ეხლავე შეუდგენ თავიანთ თანამდებობის ასრულებას.

**უკან მიღების შესახებ.**

ქალაქის გამგეობამ დღეიდან მოსპო ქალაქის თვითმართველობის ყოფილ მოსამსახურეთაგან თხოვნების მიღება დაბრუნების შესახებ.

**შაქრის საკითხი.**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ საქართველოს ცენტრალურ სასურსათო საბჭოს საწყობიდან მიიღო 3,500 ფუთი შაქარი, რომელიც განაწილდა საუბნო სასურსათო დუქნების შორის იმ მოქალაქეთათვის დასარიგებლათ, რომელთაც ჯერ არ მიუღიათ იანვრის ულუფა. შაქრის თებერვლის და მარტის ულუფის დარიგების იმედი ჯერ არა აქვთ, უშაქრობის გამო.

**ფქვილის მისაღებად.**

ქალაქის გამგეობამ თავის სასურსათო განყოფილების გამგის თანაშემწე ს. ა. რაზმაძე ბათომში გაგზავნა ამერიკელების მიერ მოტანილ თეთრ ფქვილის მისაღებად.

**დ ა ნ ი შ ვ ნ ა.**

ქალაქის ცენტრალურ საწყობის გამგეთ ქალაქის გამგეობამ კ. ლ. ფირალოვი დანიშნა.

ქალაქის № 1 გადამდებ სენით ავათმყოფების ქსენონის აფთიაქის გამგეთ ქალაქის გამგეობამ პროვიზორი ლოლაძე დანიშნა.

## „სომეხთა საინფორმაციო ბიურო“

ამას წინად თბილისში ხმა გავრცელდა ვითომც საზავო კონფერენციაზე ჩვენი დამოუკიდებლობა არ ეცნოთ.

ეს ცნობაც, როგორც ყველა ამ გვარი, „სომეხთა ინფორმაციული ბიუროს“ შემოქმედებითი ნიჭის ნაყოფია.

ბაქოს გაზეთ „Знамя труда“-ში (№ 80 244) მოთავსებულია ამის შესახებ შემდეგი ცნობა: „თბილისიდან ჩამოსულების სიტყვით მოკავშირეთა მთავარსარდალ ტომსონმა ინგლისელების შტაბში სამჯერ მიიწვია საქართველოს მინისტრმა თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას შვილის დაკარგვით დამწუხრებულ ნოე ჟორდანიამ უპასუხა რომ მძიმე სულიერის მდგომარეობის გამო მას სრულიად არ შეუძლია რაიმე საქმე ლაპარაკი და სთხოვა გამოეძახნა მისი მოადგილე ევგ. გეგეჭკორი. ტომსონმა ამის შემდეგ კიდევ მოითხოვა, რომ სწორედ ნოე ჟორდანია მისულიყო მასთან. ნოე ჟორდანიამ გენ. ტომსონს სურვილი შეუსრულა და ინგლისელების შტაბში ეახლა.

გენ. ტომსონმა განუცხადა, რომ პარიზის კონფერენციამ თქვენი დამოუკიდებლობა არა ჰსცნოო.

საერთოდ შესაძლებლად არ ჩასთვალა ამიერ კავკასიაში რესპუბლიკების არსებობა. გადაწყვეტილია აღსდგეს რუსეთი 1914 წ. ფარგლებში. მხოლოდ ერევნის გუბერნიის ეჩმიაძინის მაზრა ჩამოშორდება მას და მიეკრება ოსმალეთის იმპერიის ექვსი ვილიეთიდან შემდგარ დამოუკიდებელ სომხეთსაო.

ამ ამბავმა ნ. ჟორდანიაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დიდხანს იდგა ხმის ამოუღებლად. ხოლო დამშვიდებისას გენ. ტომსონს სთხოვა, რომ ეს ცნობა მაისამდე მაინც დაფარულად შეენახათ, არ გამოეცხადებინათ, თორემ ეს დიდ ექცესებს გამოიწვევსო“.

ეროვნული

მკითხველი დაინახავს, თუ როგორ მოხერხებულად არის შედგენილი ეს ჟორი.

ეს ცნობა ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარჰყო.

## მრეწველობა

### კახეთის ნავთიანი ადგილები.

**ფხოველი.**

ს. ფხოველი მდებარეობს სიღნაღის მაზრაში 10—12 ვერსის მანძილზე კახეთის რკინის გზის სადგურ მელაანზე ჩრდილოეთით. ამ სოფელში რამდენიმე ალაგას მოიპოვება ბუნებრივი გაზებისა და ნავთის სადენები და აგრეთვე ტალახიანი გორაკები. აღმოსავლეთ ნაწილის ფერდობზე ხევის პირას ეგრეთ წოდებულ „ნავთის ხევში“ აშენდა კოშკი და ბურღი სიღრმით 10—15 საჟენი. წარმოება ამ ალაგას შეწყდა ომის დაწყებამდე. კერძო მწარმოებლებმა, რომელთაც აღებული ჰქონდათ ეს საქმე, მიატოვეს საქმე ხელსაყრელ პირობებამდე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ფხოველის ნავთიან ადგილებსაც მიექცა ყურადღება და გზათა სამინისტროს ჩაჰბარდა წარმოება, როგორც ამ ალაგისა, ისე მეორე ნავთიან ალაგ ილდოქანისაც.

ამობურღული მიწა გზათა სამინისტრომ 36 საჟენამდე დაიყვანა. გეოლოგების აზრით კი, რომელნიც აწარმოებდენ აქ საქმეს, ეს ხვრელი უნდა დაყვანილ იქმნეს 150—160 საჟენამდე. მთელი შახტები რიცხვით 11, როგორც ზევით გვქონდა მოხსენებული, მცირე მეიდანზე არა უმეტეს 1/3 დესეტინისა. შახტები ერთი მეორეზე 20 საჟენზეა დაშორებული. მომხსენებელთა აზრით საჭიროა ახალ შახტების მოწყობა სხვა ადგილებში.

**ილდოქანი**

ილდოქანის ნავთიანი ადგილი მდებარეობს 30 ვერსზე თელავიდან ტყიან ადგილ „ილდოქანში“, რომელიც ეკუთვნოდა ჩხეიძის ასულს. თავის დროზე ამ ადგილმა მიიპყრო ყურადღება ლონდონელ კაპიტალისტებისა, რომელთაც შეჰკრეს პირობა ჩხეიძის ასულთან და ფართე მასშტაბით დაიწყეს მუშაობა. 1914 წ. ინგლისელებმა შეაჩერეს მუშაობა იმ მიზნით, რომ ომის შემდეგ განაახლებდენ მუშაობას.

გზათა სამინისტროს რწმუნებულმა ინჟ. ოგანეზოვმა განაახლა მუშაობა ჩვენ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. 3 სექტემბრიდან ვიდრე 1-ლ მარტამდე ამოუღიათ № 3 ჭიდან 3000 ფუთზე მეტი, № 4 ჭიდან 1000 ფუთამდე, გაიგზავნა თელავში 1000 ფუთამდე, ფხოველის სამრეწველოში 500 ფუთამდე და ადგილობრივ ჰურჭლებში ინახება 3500 ფუთამდე. სიღრმე ჭებისა 93 საჟენამდე იყო ჩაყვანილი. ამნაირად ამოღებულ იქმნა 9000 ფუთი ნავთი, გაიგზავნა და ჰურჭლებში შენახულია 4000 ფუთი.

მუშაობის წარმოება უფერულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი გზათა სამინისტროს რწმუნებულთა წყალობით, ამიტომ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო ამ ადგილების სამუშაოებმა და მთავრობამ მათი ლიკვიდაცია მოახდინა დროებით.

## დამფუძნებელი კრება

### 11 აპრილის სხდომა. ქალაქის მიწებზე ყიდვა-გაყიდვის შეჩერება.

**გ. გვაზავას სიტყვა.**

ბატონებო! წარმოდგენილი დეკრეტი მიუღებელია როგორც ფორმალურად, ისე არსებითადაც. მომხსენებლის სიტყვიდანა სჩანს, რომ ეს დეკრეტი გაგრძელებაა და დამატება სააგრარო რეფორმისა, მაშასადამე იმ დეკრეტებისა, რომლებიც იყო მიღებული ყოფილი კომისარიატის, სეიმის და ეროვნული საბჭოს მიერ. მაგრამ ყოფილ კომისარიატს, სეიმს და ეროვნულ საბჭოსაც კი არა აქვსთ არავითარი მნიშვნელობა და კავშირი დამფუძნებელ კრებასთან. დამფუძნებელი კრება იმიტომ არის დამფუძნებელი, რომ მან უნდა შეიმუშავოს ყველა ძირითადი კანონები, გადაათვალიეროს უწინდელნი და შეასწოროს ან სულ უარი ჰყოს ისინი. დამფუძნებელ კრებას კი ჯერ არ განუხილავს კომისსარიატის და სეიმის დეკრეტები და თავის დასტური არ მიუცია. მაშასადამე, ლოგიკურად შეუძლებელია დასტური მისცეს დღევანდელ დეკრეტს, როგორც გაგრძელებას ან დამატების ისეთ კანონმდებლობისა, რომელიც არც კი ვიცით დარჩება კანონად თუ არა.—ჩვენ დაწვრილებით უნდა ვიცოდეთ, თუ რა შედეგი მოჰყვა აგრარულ რეფორმას, რამდენია მიწა, ვის ხელშია, როგორ არის დანაწილებული, როგორ არის დამუშავებული; საჭიროა ვრცელი გამოკვლევა და სტატისტიკური ცნობები, რომ პირნათლად მოვიხადოთ ჩვენი მოვალეობა და მივსცეთ დასტური ამ რეფორმას მხოლოდ მაშინ, თუ აშკარად დავინახავთ, რომ ეს რეფორმა საჭიროა და სასარგებლო მთელი ერისთვის, მთელი სახელმწიფოსათვის. თუ კი აღმოჩნდება ამ გამოკვლევის შემდეგ, რომ ჩვენ, პირიქით, დაღუპვისაკენ მივექანებით, ჩვენ უნდა შევუდგეთ და გამოვასწოროთ ჩვენი შეცდომები. ეხლა კი არაფერი ვიცით ამის შესახებ, და თუ არაფერი ვიცით, როგორ შეიძლება კიდევ განვაგრძოთ თვალდახუჭული სიარული?!

მიუღებელია არსებითადაც. თქვენ ბევრს ლაპარაკობთ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებაზე, თქვენ გვეფიცებით, რომ გინდათ განვითარება საქართველოს ეკონომიურ ძალებისა... ფიცი მწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებს. როგორ შეიძლება მოხერხდეს ძალების განვითარება, თუ ეს ძალები შეხუთულია და შებოჭვილი?! ეკონომიური ძალები შესდგება არა მარტო ნივთიერებისაგან. მარტო ნივთიერება —მიწა, წყალი, სახლი, ფული— ვერაფერს ვერ შეიქმს, თუ იმას ზედ არ ერთვის მეორე უძლიერესი და აუცილებელი ძალა: კაცის ინიციატივა და ენერგია. თუ კაცის ენერგია შეკრულია და შებოჭვილი, შებოჭვილია აგრედვე ეკონომიური მასალების განვითარებაც. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. ეს ეხლანდელი დეკრეტი ჰხოულობს ქალაქებში მიწის გაყიდვის, დაგირავების და გადაგირავების აღკრძალვას. აღკრძალულია ადამიანის მოქმედება, მისი თაოსნობა და ენერგია. ეს არის გაშლა და განვითარება ეკონომიურ ძალებისა?! მართალია, ბ. არსენიძე ბრძანებს ნუ გეშინიათ, ეს მხოლოდ დროებითიაო, მაგრამ ასეთი დაიმედება მაგონებს მარფ ტვენის ხუმრობ-ს: „ამბობენ, რომ მე მოვკვდი, მაგრამ ეს ხმა გადაჭარბებულიაო“. ბატონებო! აღკრძალვა სამოქალაქო აქტებისა უდრის ეკონომიურად ადამიანის ჩამოხრჩობას და რა ჭკუაა იმაში, რომ გვაიმედებენ—„ნუ გეშინიათ, ეს მხოლოდ დროებითი ჩამოხრჩობაა“.

**ხმა.** რევოლიუცია გახლავსთ.

**გ. გვაზავა.** ბატონებო! რევოლიუცია გათავდა. თუ არ გათავებულა, ჩვენ მაინც უნდა ვიქონიოთ ზნეობრივი და იდეიური ზედგავლენა, რომ დავაშოშმინოთ ცხოვრება და დავამყაროთ მშვიდობიანობა. თანაც რევოლიუციით თავი ნუ მოგვაქვთ. არც თქვენ ბრძანდებით ის ბელურები, რომლებიც ბუდეს იკეთებენ ბარრიკადის ნახვრეტებში. თქვენი ბარიკადები არავის უნახავს. აქ რომ მშვიდობიანად ისხდეთ და ადასტუროთ ცხოვრების ამრევი დეკრეტები,—ეს არ არის რევოლიუცია, ეს არის მხოლოდ არევ-დარევა ცხოვრებისა. ვიმუშაოთ მშვიდობიანად, შეგნებულმდ და მიზანშეწონილად. თუ მაროლა საჭიროა სოციალური რევოლიუცია, მოვახდინოთ ისიც, მე ამის წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოდ ერთის პირობით კი: უნდა აშკარად დამტკიცებული იყოს, რომ ეს რევოლიუცია საჭიროა და სასარგებლო მთელი ერისთვის, მთელი სახელმწიფოსთვის. ეს კი ჯერ ვერავის დაუმტკიცებია. პირიქით, კონსტიტუცია ყველა მოწინავე, განათლებული ქვეყნებისა ამბობს, რომ „კერძო საკუთრება ხელშეუხებელიაო, ვინაიდგან ეს არის საფუძველი პიროვნული თავისუფლებისა.

**შენგელაია.** (ს.-დ.) ბურჟუაზიული სახელმწიფოები.

**გ. გვაზავა.** ბ-ნო შენგელაია, თუ მიწაზე ჰცხოვრობთ, უნდა იცოდეთ, რომ დედამიწის ზურგზე არ არის სოციალისტური სახელმწიფო, თუ რომელიმე ვარსკვლავიდან ჩამოვარდით, დაუბრუნდით ისევ იქვენს სამშობლოს და საქართველოს კი თავი დაანებეთ. (სიცილი) დიაღ, ყოველი დემოკრატიული კონსტიტუცია ითხოვს უზრუნველ-ყოფას კერძო საკუთრებისა და პიროვნულ თავისუფლებისას. ჩვენ ეხლა კონსტიტუციას ვიმუშავებთ და ეს პრინციპი აუცილებლად შევა ამ კონსტიტუციაში. მაშ რა საჭიროა დღეს წინასწარ მივიღოთ დეკრეტი, რომელიც წარმოადგენს ამ პრინციპის პირდაპირი უარყოფას? ნუ იზამთ ამას. თქვენი განძრახვა აშკარაა: ჯერ სოფელში ჩამოართვით მამული, ეხლა გადადიხართ ქალაქში, შემდეგ კონფისკაციას გაუკეთებთ სახლებს, შემდეგ—ბანკებს, ფულს და შეიძლება ყველაფერს. ეს გზა სახიფათოა. შინ გამოიწვევს სამოქალაქო ომს, გარედ —საერთაშორისო განწყობილებაში— ეკონომიურ და პოლიტიკურ იზოლიაციას. ნუ გავიწყდებათ, რომ პასუხისმგებელი ხართ ერისა და ისტორიის წინაშე.

## ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი

ამ ბოლო დროს რუსულმა გაზეთებმა განურჩევლად მიმართულებისა, რწმენისა და მდგომარეობისა ძალიან მოუხშირეს ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტზედ წერვა როგორც „ბორბა“, აგრეთვე „კავკაზსკოე სლოვო“, თუ „ნოვოსტი დნია“ ერთსა და იმავეს იმეორებენ: კავკასიისათვის საჭიროა ერთი „ინტერნაციონალური“ უმაღლესი სასწავლებელი, და ეს უმაღლესი სასწავლებელია ეგრედ წოდებული ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი. კავკასიის საერთო ცენტრია თბილისი, თბილისიც არის სატახტო ქალაქი ამიერ-კავკასიისა, და ამისათვის ამიერ კავკასიის კულტურული დაწესებულება, როგორიც არის ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი უნდა დარჩეს ამიერ-კავკასიის სატახტო ქალაქ „თბილისში“. საჭიროა ჩვენც ვიცოდეთ თუ რა არის ეს „კულტურული“ დაწესებულება ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი, როგორი „ინტერნაციონალურია“ იგი, რა ჯურის ხალხი სწავლობს შიგ და ბოლოს გავარკვიოთ საქართველოსთვის იგი რა ღირებულებას წარმოადგენს. როგორც მოგეხსენებათ საქართველოს პარლამენტმა ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტს მოწყალებას რომ აძლევდა, მაშინ იგი დაახასიათა, როგორც საკონკურენციო დაწესებულება ქართულ უნივერსიტეტისადმი. მათის აზრით ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტი კონკურენციას გაუწევდა ქართულ უნივერსიტეტს და ამ გვარად ჩვენ უნივერსიტეტს წინ წასწევდა. რამდენად მართალია ეს აზრი ჩვენ ამის გარკვევას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ უნივერსიტეტი სავაჭრო დაწესებულება არ გახლავსთ, იგი მეცნიერების ტაძარია, და ქართული უნივერსიტეტი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის დაუხმარებლივ გააკეთებს ყველაფერს, რის გაკეთებაც კი მას შეუძლიან. ამიერ კავკასიის უნივერსიტეტი კი სამარცხვინო ნაშთია ჩვენის მონობისა, გახრწნისა და გადაგვარების გზაზედ დგომისა. იგი დაარსდა ამ ათიოდე წლის წინად, როგორც სავაჭრო დაწესებულება ქალთა უმაღლესი კურსების სახით, შემდეგ იგი გადაკეთდა თბილისის უნივერსიტეტად, და ბოლოს ის იქცა ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტად. ამ ათი წლის განმავლობაში ამ სასწავლებელს ჩვენი ქვეყნისათვის არ მოუცია არც ერთი ჩვენი გულშემატკივარი, არც ერთი მეცნიერი, არც ერთი ნამდვილი ადამიანი. იგი იყო კერძო სავაჭრო დაწესებულება, მისი მიზანი იყო არა მეცნიერების გავრცელება (მას ის არც გაუვრცელებია) არამედ თავის მსმენელთაგან ოქრო ჩაჩხრიალება, და იმას არ დაგიდევდა აძლევდა იგი თავის მსმენელებს ამ ოქროში რამე ცოდნა-გამოცდილებას თუ არა.

როგორც მეცნიერების ტაძარი ეს „უმაღლესი“ კურსები არარაობას წარმოადგენდა- ამ კურსებს არ გამოუშვიათ არც ერთი სამეცნიერო ნაწარმოები არც ერთ დარგიდან, მით უმეტეს კავკასიის შესახებ. იმ კურსებმა, რომელთაც სრული ათი წელიწადი იარსებეს თბილისში უჩინრად, ჩუმად, ხმა ჩაკმენდილად, ჩვენს ცხოვრებას არავითარი დაღი არ დაამჩნიეს, არ მოგვცეს არც ერთი საზოგადო მოღვაწე, არც ერთი სამეცნიერო შრომა, დიახ, ამ კურსებმა დღეს საქართველოს აღორძინების ხანაში წამოყვეს თავი და გვეუბნებიან მეც ნახირ ნახირიო, მეც მეცნიერების ტაძარი ვარო, მეც ადამიანებში ვურევივარო, მე ინტერნაციონალური დაწესებულება გახლავარო თქვენც ინტერნაციონალის მომხრენი ხართ, და ამისთვის მე თბილისში უნდა დავრჩე, და თქვენ კი ყველამ მე უნდა შემინახოთო. სწორედ რომ აზირებული პრეტენზიებია. ათი წელიწადი ჩუმად ეგდო, და როცა ჩვენ ვაპირობთ ჩვენ უმაღლესს სასწავლებელს მკვიდრი საფუძველი ჩავუყაროთ, მაშინ დაიწყო ფართო ფუროთობა, შემომხედეთ რა ბიჭი ვარო! ვიცნობთ, რაცა ბრძანდება. შენა ხარ ნაშთი ჩვენის მონობისა, მორჩილებისა, გადაგვარებისა და უნდა გაჰქრე კიდეც, როგორც ეს მონობა გაჰქრა. თუმცა შენ დაწესებულებას გეძახიან, მაგრამ შენ „ინტერნაციონალური“ ხარ მხოლოდ სიტყვით, ნამდვილად კი შენ ხარ ძალიან ვიწრო ნაციონალისტური. შენ ჯერ კიდევ არ დაგიკარგავს იმედი, რომ დაგიბრუნდება ძველი ბატონობა, ელი დროს და ენახოთ მაშინ რა ენაზედ დაილაპარაკებ.

ჩვენ ესეც ვიცით, რომ მცირეოდენი ქართველობა სწავლობს შენს წიაღში, დაახლოვებით 10%, ვიცით, რომ ამ 10 პროცენტში ძალიან ბევრია გზა აბნეული, გადაგვარებული და თავის ერის უარმყოფელი, რომელთაც საქართველოს თავისუფლება, საქართველოს უნივერსიტეტი პირზედ ღიმილსა ჰგვრის, ეს ჩვენ ყველაფერი კარგად ვიცით. ვიცით ისიც, რომ დანარჩენი 90 პროც. მოსწავლეებისა შეადგენენ სხვა რესპუბლიკების მოქალაქეებს, მათაც სძულთ საქართველო, მტრობენ მათ. განა ეხლა გაფიცულ ქალაქის მოსამსახურეთა რიცხვში ცოტანი ირიცხებიან ამ უნივერსიტეტში? სწორედ ამ უნივერსიტეტის წიაღში იზრდება და იკვებება საქართველოსადმი მტრობა. ეს უნივერსიტეტი პოლიტიკური დაწესებულებაა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული და როგორც ამისთანა, რაც მალე გაჰქრება იგი, მით უკეთესია.

## აზერბეიჯანი

**კვირა თუ პარასკევი?..**

სადგურ განჯის დეპოს მუშებმა დაადგინეს კვირა დღე იუქმონ... აზერბაიჯანის რკინის გზათა სამმართველომ მუშებს განუცხადა რომ ამას მთავრობა უკანონოდა სთვლისო და მოსთხოვა კვირის მაგივრად პარასკევი ეუქმათ. ვინც ამ მოთხოვნილებას არ დაემორჩილებოდა სამსახურიდან დაითხოვდნენ მიუხედავად ასეთი მუქარისა აპრილის 6-ს სამუშაოზე ასი კაცი მაინც არ გამოცხადდა, ამათში 20 მაჰმადიანი ერია ყველა ესენი დაითხოვეს.

პროფესიონალ კავშირის გამგეობა ახლო მომავალში ამ საკითხს გაარჩევს.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).
17 აპრილი.

### გერმანული პრესა

**კომუნისტები მიუნქენში**

მიუნქენში კომუნისტების ახალი ამბოხების გამო მდგომარეობა ისევ გართულდა, როგორც სჩანს, მიუნხენი ისევ კომუნისტების ხელშია. კვირას კომუნისტურ ჯარის და მუშების დიდი დემონსტრაცია მოხდა. ამასთან ერთად, დაიწყო იერიშების მიტანა სადგურზე, რომელიც რესპუბლიკის ჯარის რაზმს ქონდა დაჭერილი მას შემდეგ, რაც თოფებისა და ტყვიის მფრქვეველების გარდა თავდამსხმელებმა ნაღმის მტყორცნელებიც აამოქმედეს, შეუძლებელი გახდა სადგურის შენარჩუნება. შიგ მდგომი ჯარი დიდი ზარალის შემდეგ იძულებული გახდა მოწინააღმდეგეს დანებებოდა. სადგურის კომენდანტი დასახვრეტათ წაიყვანეს. კომუნისტებმა იმავე ღამეს აიღეს რესპუბლიკანურ ჯარის მთავარი სადგომი, რომელიც ქალაქის საკომენდანტოს შენობაში იყო, და აგრეთვე სხვა საზოგადო დაწესებულებანი და ყაზარმები. ამნაირათ კომუნისტების ბატონობა მთელ მიუნქენში კვლავ აღდგენილია. ამის შემდეგ გამოცხადდა საერთო გაფიცვა. რკინის გზაზე მოძრაობა შესწყდა ცნობები მიუნხენიდან შორი გზით მოდის და როგორც სჩანს სწორი არ არის.

**მდგომარეობა აუგსბურგში**

მიუნხენის ახლო მდებარე ქ. აუგსბურგი, რომელიც მიუნხენის საბჭოთა მთავრობის მხარეზე გადავიდა ახლა კვლავ ბავარია ჰოფმანის მთავრობას მორჩილება. მიღებულია მკაცრი ზომები, რომ კომუნისტური მოძრაობა მიუნხენიდან აუგსბურგსაც არ გადაედოს. აღმოსავლეთ ბავარიაში ახლა, როგორც წინათ, სრული სიწყნარე და წესრიგია.

**საქსონია**

დრეზდენში არავითარი ახალი ცვლილება არ მომხდარა. ქალაქში სიწყნარეა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბროკდორფ რანტცაუმ თანაგრძნობა გამოუცხადა საქსონიის მთავრობას სამხედრო მინისტრის ნეურინგის მოკვლის გამო. დანარჩენ საქსონიაშიც წესიერებაა. ცვიკაუს სამრეწველო რაიონში გაფიცვის მდგომარეობა უცვლელია და წესრიგი არსადაა დარღვეული.

**რურის ოლქი.**

რურის ოლქში გაფიცულები ნელნელა სამუშაოს უბრუნდებიან. ჯერ ჯერობით გაფიცულია კიდევ 140,000 კაცი.

**მთავრობის და სპარტაკელების ბრძოლა**

დიუსელდორფის ქუჩებში მოხდა ძლიერი ბრძოლა. კომუნისტები ოპერბირკის უბნიდან განდევნეს. ეს უბანი კომუნისტების ბატონობის ბუდე იყო. საერთო გაფიცვა გრძელდება.

**ჯარისკაცთა ჯამაგირი.**

გერმანიის სახელმწიფოს ცენტრალურმა მთავრობამ დაადგინა: იმ ჯარისკაცთ და უნტერ-აფიცრებს, რომლებიც ჯერ კიდევ ჯარში მსახურობენ, მიეცეს მშვიდობიან დროის ჯამაგირი. ეს განკარგულება დრეზდენის ამბების შედეგია ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ საქსონიის სამხედრო მინისტრი, რომილიც ბრბომ მდინარეში ჩაახრჩო, ჯამაგირის შემცირების წინააღმდეგი იყო. მცირეოდენი მღელვარება ბერლინის ლაზარეთებშიც იყო. ცენტრალურმა მთავრობამ გააუქმა ახლა თავის განკარგულება ჯარისკაცთათვის და უნდერ აფიცერთათვის ჯამაგირის შემცირების შესახებ.

**ნახშირის უქონლობა გერმანიაში**

ნახშირის უქონლობის გამ გერმანიის სხვა და სხვა ნაწილებში რკინის გზის მოძრაობა კიდევ უფრო შემცირდება. მაგალითათ ვალლეს ხაზზე მატარებელთა მიმოსვლა საგრძნობლათ შემცირდა. ამან გამოიწვია გალე - ბერლინ, გალე-საქსონიის და გალე-მაინზე ფრანგფურტის ხაზზე მატარებელთა მოძრაობის შემცირება.

**ბურჟუაზიის გაფიცვა.**

საერთო გაფიცვები და ბურჟუაზიის კონტრ-გაფიცვა ბრაუნშვეიგში კიდევ გრძელდება. ერთი კვირაა გაზეთები არ გამოდის ბრაუნშვეიგში. მხოლოდ ერთხელ კვირაში დამოუკიდებელნი უშვებენ ფურცელს, რომელნიც ეხება მხოლოდ გაფიცვის მსვლელობას.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**წვრილი ბურჟუაზია**

გუსტავ ჰერვეს ორგანოში (Ja victoire) ლიხტენბერჟე წვრილ ბურჟუაზიაზე სწერს: „წვრილი ბურჟუაზია საშუალო კლასია ბურჟუაზიისა (თუ ამას ვიხმართ როგორც სამეცნიერო ტერმინს) და მუშათა კლასის შორის.

მისი შემოსავალია—ოფლით მოპოვებული მცირე ჯამაგირი და საპენსიო ან დანაზოგი ფული, რომელსაც იგი წვით დ[illegible]გვით აგროვებდა

ეს წვრილი ბურჟუაზია დემოკრატიის ტიპიური დედაა. იგი სახელმწიფოსათვის საერთოდ მთავარი საყრდენი კლასია, როგორც ეს ასე იყო მაგ. საფრანგ. რევოლიუციის დროს. იგი წმინდა პროლეტარიატის და წმინდა ბურჟუაზიის შემაერთებელი როლი.

დი დი გაჭირვება გადაიტანა წვრილმა ბურჟუაზიამ ამ ომის დროს. დღეს იგი შიმშილობს.

**ბოლშევიკები ამერიკაში**

რეიტერის სააგენტოს ცნობით ამერიკაში, ნიუიორკი პოლიციამ დააპატიმრა რუს მუშათა და გლეხთა კავშირის ბინაზე 200 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ წიგნები რუსულ ენაზე, რომელშიც მოუწოდებდნენ ხალხს ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ.

**ბრძოლა სპარტაკელებთან.**

ბერლინის გაზეთებს კორესპოდენტები ატყობინებენ, რომ სპარტაკელებზე ჰაეროპლანებით თავდასხმა ლონდონის ან პარიზის ყველა თავდასხმაზე უარესი იყო. ჰაეროპლანებიდან ყუმბარებს შიგ სპარტაკელების ბუდეებში ჰყრიდენ, (ქვესკნელის) რომლებიც მიწის ქვეშა სადგურებში იყვნენ მოთავსებულნი. ზოგიერთი ამ ბინათაგანი გაანადგურეთ.

ყუმბარების სასროლს, რომელიც საწამლავან ცრემლ სადენს გაზით გატენილ ერთი ტონის სიმძიმე ყუმბარას ესვრის, ორივე მხარე ხმარობდა.

სამხედრო ჰაეროპლანები სახურავებიდან 150 ფუტის სიმაღლეზე დაჰფრინდნენ და მთავრობის მომხრე პოლიციელებს გზიდან დასაფარავ ტანსაცმელს უყრიდნენ.

სანამ მთავრობის ჯარი შევიდოდა პოლიციელები მხრჩოლავმა გაზმა აიძულა დამალულიყვნენ. როცა ჰაეროპლანებმა ეს საფარი ტანისამოსი ჩამოუყარეს ისინი თავისი ასრულებას შეუდგნენ და იბრძოდნენ სანამ მთავრობის არტილერიამ სპარტაკელების სიმაგრეები სრულიად არ გაანადგურა.

**ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარის რაოდენობა.**

თემთა პალატაში ჰესტმა განაცხადა რომ ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარები ომის ყველა ასპარეზზე უდრის 902,000 კაცს.

მარტის პირველს მთელი ჩვენი ჯარი, თუ კანადის ჯარსაც დაუმატებს საფრანგეთში, ბელგიაში და გერმანიაში 1.324.106 კაცისაგან შესდგებოდა.

**ბათომის საბჭოს გაუქმება.**

გაზ. „ბორბას“ ბათუმიდან ატყობინებენ რომ ბრიტანეთის გენერალ გუბერნატორის აპრილის 14-ის თარიღით ბათომის ოლქის მმართველ საბჭოს თავმჯდომარესადმი ბრძანებით ეს საბჭო გაუქმდა. ყველა საქმეები დიდი ბრიტანეთის სარდლობას გადაეცა.

**თავრიზის რკინის გზა.**

თავრიზის რკინის გზაზე მიმოსვლა დაიწყო—მარტის 24-ს ჯულფიდან ჩამოსულ პირველ მატარებელს მგზავრი ხალხი ჩამოჰყვა.

მოსალოდნელია ახლო მომავალში თბილისსა და თავრიზს შუა სატელეგრაფო კავშირიც გაიბას.

**ინგლისური ჯარი.**

აჯანყებულ ვილაეთების, როი, სალმასტი და ურმიის დასაწყნარებლად ინგლისური ჯარი გაიგზავნა.

**სომხები სპარსეთის პარლამენტში.**

სომეხ დელეგატების არჩევა სპარსეთის პარლამენტში სომეხთა ეროვნული საბჭოს თხოვნით გადაიდო.

## ბულგარეთი და ბოლშევიზმი

1.

ჩვენს დალოცვილ საუკუნეში მსოფლიო ომთან ერთად, ერთი ღირს-შესანიშნავი მოვლენაც მოხდა, რომლის ისტორია მომავალში პირველთან იქნება დაკავშირებული და რომელიც ატარებს სახელს—ბოლშევიზმისას. ამ მოვლენამ ისეთივე გადამდები ხასიათი მიიღო ხალხთა ცხოვრებაში, როგორიც თანამედროვე ომმა, თავის დაწყებიდან—დასრულებამდე. მაგრამ სხვა და სხვა ქვეყნებში, სხვა და სხვა გვარად ჩამოყალიბდა. თუ ბოლშევიზმმა რუსეთი სრულ ფიზიკურ და მორალურ დაცემამდე მიიყვანა, სამაგიეროდ, გერმანიაში, ავსტრიაში, რუმინეთში, ბულგარეთში და სხვაგან ბოლშევიზმმა სხვა ფრივ იჩინა თავი.

ამ წერილში მე მინდა შევეხო მხოლოდ იმ მოვლენას, რომლის მოწმედაც გარემოებამ გამხდა გასული წლის შემოდგომაზედ ბულგარეთში და რომელსაც იქაც ბოლშევიზმი დაერქვა. რამ გამოიწვია იგი, რა შედეგი მოჰყვა მას და რა შეჰმატა მსოფლიო ისტორიას...

მინამ ამას შეუდგებოდე, მოკლედ განვიხილავთ პოლიტიკური მდგომარეობა ბულგარეთისა და მით ეს მოვლენა მთავარ საკითხს დაუკავშიროთ...

2.

ოსმალეთის უღელ-ქვეშ ქედ მოხრილი, დაუძლურებული და განადგურებული ბულგარეთი გადაგვარების გზაზედ იდგა: ჰკარგავს თავის ზნე-ჩვეულებას, ენა ირევა და მრავალი უცხო, მავნე ელემენტი შედის მასში (ბულგარული ენა სავსეა ოსმალურ სიტყვებით და აგრედვე ამით უნდა აიხსნებოდეს განუვითარებლობა და ბარბარიზმი ბულგარულ ენისა). სისხლიც ირევა და მონობის ღრმა ბეჭედი ესმება წაუშლელად.

გაჭირვება-დამცირებას გამოვლილი ხალხი, რუსეთის საშუალებით სულს იბრუნებს და თავის თავისუფლების უფლებებს ამცნობს ქვეყანას. ეს ხდება ამ ორმოცი წლის წინად (1877—78 წლ.) თავისუფლად ამოსუნთქული ხალხი იწყობს თავის მოწყობას, დალაგებას, სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნას... დიდი და პატარა ალექსანდრე მეორის „განმათავისუფლებლის“ მზეს ფიცულობს. დღესაც კი ბულგარეთი და განსაკუთრებით დედა-ქალაქი სავსეა რუსულ ძეგლებით, რომლებშიაც ყველაზე უკეთესი „ალექსანდრე მეორის“ ძეგლია დადგმული, ამავე სახელის მოედანზე ბულგარეთის პარლამენტის პირდაპირ შემდეგი წარწერით:

„Царю Освободителю — признателна България".

ბულგარეთის ინტელიგენცია მოისწრაფოდა რუსეთის მაღალ სასწავლებლებში უმაღლესი სწავლის მისაღებად, რუსულის შესასწავლად და სხვ. ბულგარულ ენაზედ გადათარგმნილია რუსი კლასიკები და ხშირად შეხვდებით ბულგარელთ, რომელთაც ზეპირად იციან ზოგიერთა პოემები და ლექსები პუშკინისა, ლერმონტოვისა და სხვათა. თავიან სიმღერებთან ერთად ისინი მღერიან რუსულ რომანსებსაც და საერთოდ დიდი სიმპატია აქვთ რუსებისა. ეკლესიებში დღესაც იხსენიებენ როგორც „ალექსანდრეს" ისე სხვა რუს მეფეებს.

მაგრამ ეს მოვლენა იცვლება ბულგარეთის ტახტზედ ფერდინანდ მეფის (ჯერ თავადის მერე მეფის) ასვლისას და ვ. როდოსლავის მიერ ლიბერალურ პარტიის დაარსებისას (1887 წ.) ფერდინანდი გერმანეთის მიერ იყო ხელდასმული, იმათი გვარეულობისა (საქსკობურ გოტელი — Саксъ-Кобургъ Готски). და ამან შექმნა ის ორი მიმართულება, რომელიც დღევანდლამდე არის ბულგარეთში: რუსოფილობა და გერმანოფილობა, ებრძოდა ერთმანეთს ომამდე და ებრძვის დღესაც. გერმანოფილების სათავეში იდგა მეფე ფერდინანდი*), თავის გამოჩენილ პრემიერ

3.

ომის დაწყებისას ხალხის სიმპატია майка русия-სკენ *) იყო, მაგრამ მისი მმართველი და გერმანოფილების პარტია საშინელ სურპრიზს უმზადებდა მას... დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელნი და დიპლომატნი დაჭფუსფუსებდნენ მაშინ ამ პატარა სახელმწიფოებში, თითქოს მათგან ელოდნენ ხსნას.

მაშინ რუსის ჯარი შესული იყო კარპატებში და თავის მარცხენა ფრთის გასამაგრებლად ისინი მისთვის საჭირონი იყვნენ. მეორეც რომ ბულგარეთის წყალობით შეიძლებოდა კონსტანტინოპოლის ხმელეთით მიდგომა და რა დაეცემოდა იგი გერმანიის ერთს მეგობარს სხვანაირად შეიცვლებოდა ომის სურათი. არა ნაკლებ საჭირო იყო ბულგარეთი ამ დროს გერმანეთ-ავსტრია-ოსმალეთისთვის... მაგრამ სხვაგვარად დატრიალდა საქმე. ბულგარეთის მეფე ფერდინანდი სახელგანთქმული დიპლომატი იყო. ის კარგად ჰხედავდა მომენტის მნიშვნელობას და იქით იწევდა, საიდანაც მეტი სარფა გამოელოდა და მიემხრო კიდეც გერმანიას... მას ის ჰქონდა ამ ამბით თავზარდაცემულ ხალხის წინაშე თავის გასამართლებლად, რომ გერმანია ჰპირდებოდა ბულგარეთს, დობრუჯას, მაკედონიას და სხვას (თვითეულ ბულგარელის სანატრელ ოცნებას)! იმ დროს როდესაც რუსეთის დაპირებანი უმნიშვნელოვანი იყვნენ ბულგარეთისათვის. მეორე — თუმცა ოსმალეთს მიემხრობოდა, რომელიც რამდენიმე ქალაქს უთმობდა ამის გამო ბულგარეთის სამხრეთ საზღვართან, სამაგიეროდ ისინი შეებრძოლებოდნენ სერბიელებს, წაართმევდნენ მათ მაკედონიას და მათ ჯავრს ამოიყრიდნენ. უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ ბულგარელები და სერბიელები (და რუმინელნიც) ერთმანეთის მოსისხლე მტრები არიან. ეს ურთიერთობის გამწვავება უფრო გაძლიერდა 1913 წლის ბალკანეთის ომის დროს, როდესაც სერბიელებმა და რუმინელებმა ისარგებლეს ბულგარეთის კრიტიკულ მდგომარეობით და წაართვეს: რუმინეთმა — დობრუჯა, სერბეთმა კი — მაკედონია.

და აი კიდევ რა დიპლომატიურ ხერხს მიჰმართეს ბულგარელებმა: თითქმის ომის გამოუცხადებლად, თავ ხედულად, ვერაგულად დაეცნენ სერბიის ჯარს ზურგში (1915 წ. 1, X) როდესაც იგი ავსტრიას მამაცურად ჰებრძოდა და... გამოიცვალა სურათი: სერბეთმა დაიხია. ამის შემდეგ ყოველ მხრიდან მოზღვავებულ მტერს ვეღარ გაუძლო სერბეთმა და იძულებული იყო უკან ეხია და მართლაც თითქმის მთელი სერბეთი დაპყრობილ და განადგურებულ იქმნა. რუსეთმა ბულგარეთს ომი გამოუცხადა და გაგზავნა სამხედრო გემები ბულგარეთის ნაპირების თავ-დაცემისათვის, მაგრამ ბულგარეთი ამას არ შეუშინდა, გამოაწყო ნაპირებში რუსეთისგანვე საჩუქრად მიღებული 90 ნაღმი და ააფეთქა რუსის რამდენიმე ნაღმოსანი და წყალ ქვეშა.

გერმანიას დიდი სარგებლობა მოუტანა ბულგარეთმა. მან შეაერთა გერმანია-ავსტრია-ოსმალეთი. დარჩნენ ბულგარეთის რუსოფილები თითზედ ნაკბენები მაგრამ გული არ გაიტეხეს მათ. ერთი ჰქონდათ თავის გასამართლებელი: ჩვენ რუსეთისათვის ოფიციალურად ომი არ გამოგვიცხადებიაო, პირ-იქით თვითონ გამოგვიცხადაო და ვებრძვით იმათ, ვინც ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად მოდისო. ჩვენ ვებრძვით რუმინელებს და თუ რუსები ურევიან მათში ჩვენი ბრალი არ არისო!

მართლაც რომ წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდაო!.. ან მეტი რა ეთქმოდათ. ამ დროს კაბინეტი სწორედ გერმანოფილების პარტიას ეპირა როდოსლავოვის მეთაურობით.

ხალხი ბრმად ემორჩილებოდა ყოველნაირ განკარგულებას: რეკვიზიციისას, მობილიზაციისას და სხვას და შეჰყურებდა თავის მმართველებს, რომელნიც თავის ნებაზედ და ჭკვაზედ ატრიალებდა ხალხის ბედ-იღბალს.

გერმანელებმა ჩამოსვლისთანავე მთელი ბულგარეთის რკინის გზა ხელში დაიჭირეს და ჩაერივნენ სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. რაც პური, ხორბალი ან სხვა რამ სანოვაგე იყო, რეკვიზიცია უყვეს დ თავიანთ ქვეყანაში გაგზავნეს. დააწესეს ყველაფერზე „კუპონები" შაქრიდგან და პურიდან დაწყებული უკანასკნელ წუმწუმამდის. ისე, რომ საწყალი ბულგარეთის მოქალაქე დღეში 500 გრამ ცარიელ პურზე იჯდა, იმ დროს, როცა ბულგარეთში თავსაყრელი ჰქონდათ თავიანთი საკუთარი პური (გერმანიაში გასაგზავნი). სამაგიეროდ გერმანელებმა ბულგარეთში ამუნიცია, ტყვია-წამალი და თოფ-იარაღი შემოიტანეს. ყველაფერი გაძვირდა, ცხოვრება აუტანელი შეიქმნა!..

ხალხი ამას დაჩუმებული შეჰყურებდა და ხმის ამოღება არ შეეძლო. (იმ დროს დაწესებულ იქმნა სამხედრო ცენზურა!) ზოგიერთ გაზეთებში სცადეს სიმართლის გამომჟღავნება, მაგრამ კონფისკაცია უყვეს*).

ფრონტზედაც ყოფა აუტანელი იყო ბულგარელ ჯარისკაცისთვის. თითქმის ტიტველ-შიშველი და მშიერ-მწყურვალი 3—4 წლის განმავლობაში (1915, 16, 17, 18) იგერიებდა მტერს. მას დღეში 600 გრამი მაგარი მჭადის პური ეძლეოდა იმ დროს როცა მის გვერდით მჯდარ გერმანელ ჯარის კაცს თეთრი პური, კარაქი, ყავა და სხვა გამოულეველი ჰქონდა.

ბოლოს და ბოლოს ამ გარემოებამ იქამდინ მიაღწია რომ დაიწყეს ხმა მაღლა ლაპარაკი ამის შესახებ, გაზეთებმაც ვეღარ დამალეს მდგომარეობის გართულება. გაიმართა ქალთა და ბავშვთა მანიფესტაციები. მათ, როდოსლავოვის სახლის ფანჯრებს ქვები დაუშინეს „პური და ზავი"-ის ძახილით (პირველი მანიფესტაცია მოხდა 14 მაისს 1918 წ.) ფრონტზედაც დაიბადა უთანხმოება, ზოგი გაზეთის წყალობით, ზოგიც პროპაგანდის შემწეობით.

და იმ დროს როდესაც ხალხი და ფრონტი ამ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ მეფე ფერდინანდი და მისი ერთგული მინისტრი უცხო სტუმართა დახვედრაში და ფულის ხარჯვაში იყვნენ გართულნი.

არჩილ მაჭავარიანი.

(დასასრული იქნება).

---

*) აწ უკვე გადამდგარი.

მინისტრს ვ. როდოსლავოვით და გერმანეთში აღზრდილ ინტელიგენციით. რუსოფილების სათავეში კი — ტახტის მემკვიდრე კირილი და ძველი პრემიერ მინისტრი, ყველასგან მოყვარული, ა. მალინოვი, რუსეთში აღზრდილი.

*) დედა რუსეთი.

*) პირველად დახურულ იქმნა ბულგარული გაზეთი „Миръ", რომელიც საღამოზით გამოდის. მაგრამ გაზეთი ჩვეულებრივზე ადრე გამოუშვეს ისე, რომ მთავრობამ ვერ მოასწრო ყველა ნომრების დაჭერა და გაზეთი მოედო ქალაქს. თითო ნომერი 5—10 ლევად (ბულგარული Левъ — უდრის ფრანკს) იყიდებოდა, იმ დროს, როც. ჩვეულებრივ ღირდა 10 სტოტინკი ე. ი. 4 კაპ. იმ ნომერში მოთავსებული იყო მოწოდება ხალხისადმი თვალი გაეხილა და დაენახა ის საზიზღრობა, რომელსაც მოღალატე პრემიერ მინისტრი როდოსლავოვი და კომპანია, სჩადიოდა.

## ჯართან დაახლოვება და მისი გაცნობის საჭიროება

(დასასრული)

საფრანგეთში 1870 წლის დამარცხებამ გამოაღვიძა საფრანგეთის ერი. საფრანგეთი დარწმუნდა, რომ სამშობლოს ძალა — ჯარია. შეიქმნა მუშაობა ძლიერი ჯარის შექმნისა.

თავდაპირველად ყურადღება მიაქციეს ჯართან დაახლოვებას და მის გაცნობას. უამისოდ საზოგადოების აზრით არ შეიძლებოდა ძლიერი ჯარის შექმნა. ჯარის შექმნის საქმე ქვეიდან დაიწყეს. პირველ დაწყებითი სკოლებში ბავშვებს აცნობდნენ ჯარის მნიშვნელობას, მის საჭიროებას, დისციპლინას, აარსებდნენ სკოლის შეიარაღებულ ასეულებს თავიანთი დროშებით, მუსიკით და უნერგავდნენ სამშობლოს სიყვარულს. სამშობლო სასწავლებლებში სამხედრო პროგრამა უფრო ფართოვდებოდა. პარიზში დაარსდა კომისია, რომელიც მუშაობდა, რათა სასურველ ნიადაგზე დაეყენებინა სკოლებში სამხედრო ვარჯიშობის საქმე.

უკანასკნელ დროს, საფრანგეთს დიდი სამსახური გაუწიეს ამ საქმეში ფრანგმა მწერლებმა: ჟ. დიურიუმ, გენერალმა ლიოტემ, კაპიტანმა მაგონმა, მარსელიამა და სხვ. თვითეული მათგანი დიდ ყურადღებას აქცევდა ჯართან დაახლოვებისა და მისი გაცნობის საკითხს. კითხულობდნენ ამ თემაზე ლექციებს და ჰბეჭდავდნენ ათასობით წიგნაკებს.

ლექციებს ჰქონდათ სამი მიზანი:

1) გაეცნოთ და ჩაენერგათ სტუდენტებისათვის სიყვარული სამხედრო საქმისა და ჯარისადმი.

2) შეეტანათ ცოდნა და განვითარება თითონ ოფიცრებში.

3) დაეახლოვებინათ ერთმანეთისათვის ჯარი და მოქალაქენი.

4) აფიცერთა სოციალური როლი.

5) თანამედროვე ბრძოლა.

6) სამხედრო ძალა და დემოკრატია და სხ.

აქედან ცხადად სჩანს თუ რა გულმოდგინეთ მუშაობდა საფრანგეთის ერთ ჯარის მნიშვნელობის გასაცნობათ და მასთან დაახლოვებისათვის.

ქართველი ინტელიგენცია ბევრს რამეს ითხოვს დღეს ჯარისაგან; მაგრამ რას აკეთებს თითონ ჯარის შექმნისათვის?! — არაფერს. გულგრილობა, უყურადღებობა და მეტსაც ვიტყვი ზოგიერთებისაგან დაცინვაც კი გვესმის.

გულგრილობა, უყურადღებობა და ჯართან შორს დგომა და მისი გაუცნობლობა ვერ შეჰქმნის ძლიერ ჯარს.

გინდათ ძლიერი და ტეხნიკურად მომზადებული ჯარი? სცნობთ, რომ სამშობლოს თავისუფლების შერჩენა შეგვიძლია მხოლოდ ძლიერი ჯარით? თუ ჰო, მაშ ინტელიგენციამ უნდა გამოიღვიძოს, მიაქციოს ყურადღება ჯარს, დაუახლოვდეს მას და მიიღოს ზომები მისი აღზრდა-გაწვრთნაში. მერწმუნეთ და დაიჯერეთ, რომ ჯარის მომზადება მარტო ყაზარმაში ძალიან ძნელია.

მაშ როგორ უნდა მოვიქცეთ? აი როგორ. პირველ ყოვლისა საჭიროა მუშაობა ოჯახიდან. ქართველ დედამ უნდა ჩაუნერგოს ბავშვს სიყვარული სამშობლოსადმი. შეაყვაროს ჯარი და გააცნოს მისი მნიშვნელობა. დედ-მამამ უნდა აუხსნას და ჩააგონოს ბავშვს, რომ დღეს თუ არსებობს პატარა საქართველო, ეს ჩვენი ძველი წინაპარი მამულისათვის თავდადებული გმირი ქართველი გმირებისა და თავდადებულთა წყალობით. ჩვენი ჯარი წინათ, რეგულიარული იყო ის თუ არა-რეგულიარული, და საერთოდ ქართველი ერი გმირებათ იყვნენ ცნობილი და მეზობელ ერებს, ომიანობის დროს, თავზარსა სცემდნენ. უყვარდათ სამშობლო და მის დაცვაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

აუხსნას დედამ შვილს, რომ საქართველოს აქვს ბრწყინვალე წარსული და მისი ისტორია საუკეთესო ერის ისტორიაა.

პირველ-დაწყებითი სკოლებში ბავშვები უნდა ეცნობოდენ ჯარს და მასთანვე ეს სკოლები პირველ-დაწყებითი სამხედრო სკოლები უნდა იყოს.

შემდეგ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სამხედრო საქმის პროგრამა უნდა ფართოვდებოდეს.

საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებისაგან უნდა შესდგეს მოხალისეთა ასეულები, რომლებიც ხშირად უნდა ვარჯიშობდნენ და იწვრთნებოდენ სამხედრო საქმეში. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტანვარჯიშობას.

კურს დამთავრებული ჩვენი ახალგაზდობა ნახევრად მაინც მომზადებული უნდა მიდიოდნენ ყაზარმაში.

დღეს რას ვხედავთ ჩვენს სკოლებში?! — არც ერთი სიტყვა, თუ რა არის ჯარი, რა არის მისი მნიშვნელობა, რა გააკეთა ჩვენმა ნორჩმა ჯარმა სამშობლოსათვის, ვინ მსახურობს იქ და ვის ემსახურება.

რა გააკეთა ჩვენმა ინტელიგენციამ ჯარის შექმნისათვის? არაფერი. ვიმეორებ, რომ მარტო ყვირილით ჯარი გვეპირდებაო, საქმეს ვერ უშველის. წაკითხულა საზოგადოებაში თუნდაც ერთი ლექცია ჯარის შესახებ? არა.

მარტო პარტიული კინკლაობისა არაფერი გვახსოვს და ამით კი საერთო საქმეს ვღუპავთ.

ვიმეორებ, გერმანიამ, საფრანგეთმა, იაპონიამ და ბევრმა სხვა სახელმწიფოებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს ჯარის დაახლოვების და მისი გაცნობის საქმეში და დიდი ნაყოფიც მიიღეს.

ამ სახელმწიფოებში არსებობენ ათასგვარი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომლებიც დახმარებას უწევენ სამშობლოს ჯარის შექმნაში.

გერმანიაში დაარსებული იყო ქალთა წრე, რომელიც დღე და ღამ მუშაობდა და უქადაგებდა საზოგადოებას სამხედრო ფლოტის დიდ მნიშვნელობას და საჭიროებას, მათ საზოგადოება გაალვიძეს და გერმანულმა ერმა მართლაც ძლიერი ფლოტი შექმნა.

ქართველო ინტელიგენციავ, ვისაც გსურთ ძლიერი ჯარის შექმნა, ვისაც გწამთ, რომ სამშობლოს ძალა გაწვრთნილ და ტეხნიკურად მოზადებულ ჯარშია, დაუახლოვდით ჯარს და გაეცანით მას. გააცანით ჯარი და მისი საჭიროება სოფლის გლეხს, რათა გლეხებმა ყაზარმაში შვილები თვალცრემლინი კი არ გამოგზავნონ, არამედ მხიარულნი და ამაყნი მითი, რომ ისინი არიან სამშობლოს საუკეთესო შვილები და მათ ეძახიან მამულის სამსახურში.

ივ. აბესაძე.

## გარეშე ცნობები

**ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მოღვაწეობა.**

1917 წელში კავშირის ქუთაისის განყოფილებამ იყიდა ჩვენგან ოთხი ათასი-ხუთასი ფუთი თხილის კაკალი ღირებული 218,205 მანეთად. ამ ფულებისაგან მან გადაგვიხადა 170,000 მანეთი და დანარჩენი 48,205 მანეთის მოგვცა ვალდებულების ხელის წერილი, რომ ამ ფულებს ჩვენ მივიღებთ კავშირის მართველობისაგან თბილისში, რომლის სახელზედაც საქონელი იყო გაგზავნილი, მაგრამ როდესაც ფული მოვითხოვეთ თუთხმეტი დღის ვადა მოგვთხოვა რაზედაც სიტყვიერად დავეთანხმეთ, მეორეჯერ რომ მოვსთხოვეთ ხსენებული ფული მოცემაზედ ჩვენ უარი გვითხრეს იმ მიზეზედით, ვითომ ჩვენგან ნაყიდი თხილში დიდი პროცენტი უვარგისი იყოს, ამის გამო ჩვენ იძულებული შევიქენით საჩივარი გაგვეცხადებინა ქუთაისის ოლქის სასამართლოში, სასამართლოში წარმოსდგა კავშირის რწმუნებული ვექილი, წარმოადგინა ნატარიუსის მიერ შესრულებული ვექილობა, რომლითაც კავშირის მართველობა აძლევს მას სასამართლოში საქმეების წარმოების უფლებას, და განაცხადა, რომ კავშირი, თუმცა ფაქტიურიათ არსებობს, და ყიდვა-გაყიდვის საქმეს აწარმოებს, მაგრამ ის არის არა კანონიერი ორგანიზაცია, რადგანაც მისი არსებობა კანონიერი წესით არ არის დამტკიცებული და ამის გამო ის არ ჩაითვლება პასუხისმგებელად მის მოქმედებაში სასამართლოს წინაშე. ამ განცხადების გამო სასამართლო არ შევიდა ჩვენი საჩივრის განხილვაში.

ამნაირათ თვით კავშირის რწმუნებულმა დაახასიათა ის როგორც ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მოტყუებით საქონელს იძენს და, როდესაც ჯერ ფასის გადახდაზე მივა, აცხადებს — მე არ ვარსებობ და ვერც ვერაფერი გადამახდევინებო.

ჩვენ საჭიროთ ვრაცხავთ გამოვაქვეყნოთ ეს ფაქტები, რომ გავაფრთხილოთ ის პირები, რომელთაც კავშირთან რაიმე საქმე აქვთ.

ამასთანავე საჭიროთ ვსთვლით შევეკითხოთ შინაგან საქმეთა მინისტრს 1) იცის თუ არა, მან რომ კოოპერატივებთა კავშირი, რომელსაც მმართველობა ჰყავს თბილისში, აქვს განყოფილებები სხვა და სხვა ქალაქებში და რომლის მოქმედება გავრცელებულია მთელ საქართველოში, წარმოადგენს არა ლეგალურ ორგანიზაციას, რომელიც მოტყუებით იძენს სხვის ქონებას. და შემდეგ თავს იფარავს მით, რომ კანონის წინაშე პასუხისმგებელი არ არის. და, თუ ეს იცის — საჭიროდ სთვლის, თუ არა, მიიღოს ზომები, რომ ამ გვარ ბოროტმოქმედებას ბოლო მოუღოს, და მოახდინოს სექვესტრი კავშირის მიერ მოტყუებით შეძენილ ქონებისა, რომელიც მის საწყობში ინახება.

ფიადარ ჩხიკვაძე.

## კორესპონდენცია

**ხევსურებზე.**

როგორც მოგეხსენებათ ხევსურები ისეთ ფრიალო კლდეებში შეხიზნულან, რომ იქ რჩენა მეტად უძნელდება, რადგანაც სათეს-სახნავი ადგილები ძალიან ცოტა მოიპოება; 1) ამისათვის კიდევ ძველი რეჟიმის მთავრობის დროს მიუმართავთ მათ თხოვნით, რომ მთავრობას რაიმე დახმარება აღმოეჩინა მათთვის, მაგრამ მაშინდელ მთავრობას მარტო დაპირებებით დაუკმაყოფილებია ისინი და საქმით მათ დახმარებაზე სრულიადაც არ უფიქრია. დღეს, ხევსურებიდან რამოდენიმე ოჯახობა აიყარა ძველი მიწა-წყლიდან და ჩამოვიდა სოფ. გომბორის მახლობლად და დაბინავდნენ იმ ადგილებზე, რომელსაც ვითომ მფლობელობდენ გომბორის რუსები და რომლებიც დღეს ამის გამო დიდი აღშფოთებულნი არიან. უკანასკნელებს აშინებს კიდევ ის გარემოება, რომ თვით ხევსურების სიტყვით ახლო მომავალში კიდევ ოთხმოცი კომლი უნდა ჩამოვიდეს გომბორში, ამ საკითხის გამოსარკვევად წასულ წლის 11 ნოემბერს გომბორში მობრძანდა კომისია. მაჩაბელის მეთაურობით. ბ. მაჩაბელმა შემოუმიჯნა მათ ის ადგილები და წინადადება მისცა მიჯნებს არ გადმოსცილებოდნენ, მაგრამ ის შემომიჯნული ადგილები მათთვის ძალიან ცოტა არის მით უმეტეს თუ კიდევ მათ მოემატა ახლათ ჩამოსული ხევსურები, მაშინ უსათუოდ იმ შემომიჯნულ ადგილებს ისინი უნდა გადმოცილდნენ და დაბინავდნენ იმ ადგილებში სადაც დღეს გომბორლები სთესავენ. ეს გარემოება დიდ უთანხმოებას გამოიწვევს რუსებსა და ხევსურების შორის და შეიძლება იარაღითაც შეტაკება მოუხდეთ მოსალოდნელ კონფლიკტის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა რომ ამ გარემოებას ეხლავე ყურადღება მიექცეს და საქმე მორიგდეს მშვიდობიანათ, ხევსურებს მიეცეს სახნავ-სათესი ადგილები, მხოლოდ ერთის დაკმაყოფილებით არც მეორენი უნდა იქნეს დაჩაგრულნი.

ნ. ხიზანაშვილი.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლიდან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან — ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან — დილის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან — საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან — საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დილის 3 საათზე 30 წ.
გორიდან — საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დილის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ. — 9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ — ერევანში**

მ. № 4 საფოსტო — დილის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან — თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო — დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დილის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

## წერილი თელავიდან

22 მარტს ბრძოლის ველიდან თელავს მოემგზავრებოდა დაჭრილის პოდპოლკოვნიკი დავით მაჭავარიანი; ამავე მატარებლით მოასვენებდენ ბრძოლის ველზე მოკლულ მის ამხანაგს ოფიცერ ვლ. ტატიშვილის ცხედარს. მეზობელ კუპეში იჯდა რამდენიმე ჯარისკაცი და მათთან ერთად დამფუძნებელ კრების წევრი მაჭავარიანი (ს.-დ.) კუპეს კარები ღია იყო და ამიტომ მისი საუბარი ჯარისკაცებთან მკაფიოდ ისმოდა. სადგ. ჩალაუბანთან მაჭავარიანმა მიჰმართა ჯარისკაცებს:

„მართალია რევოლიუციამ წოდებრივობა გააუქმა და თავად-აზნაურობა თითქოს შეურიგდა ამას, მაგრამ იგი მაინც ფარულად იბრძვის თავის წართმეულ უფლება - უპირატესობის ალსადგენათაო; აი ამიტომაც მათი იდეოლოგები ეროვნულ-დემოკრატები ასე მძაფრად ილაშქრებენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. ოფიცრობა იგივე თავად აზნაურობაა და დისციპლინის განმტკიცება ჯარში იმიტომ უნდათ, რომ მონობის ხუნდები დაადვან ჯარის-კაცებს და შემდეგ მათი საშუალებით სული შეუხუთონ და მთლად ამოსწყვიტონ გლეხკაცობაო". დაჭრილმა პოდპოლკოვნ. ვერ მოითმინა ჩამოვიდა საწოლიდგან, და უთხრა რომ მაგვარ უმგვან პროპაგანდას პროვოკაცია ჰქვიაო, და იმ დროს როდესაც ჩვენ ვიბრძვით მტრის წინააღმდეგ თქვენისთანები ზურგით სამარეს გვითხრიანო. ამ გვარმა სამართლიანმა შენიშვნამ ძალიან გააკაპასა ი. მაჭავარიანი დაუწყო პოდპოლკ. ლანძღვა და ბოლოს დატუსაღებითაც კი დაემუქრა. როგორც იყო ეს არა სასიამოვნო ინციდენტი მოგვარდა და პოდპოლკოვნიკი გადარჩა დატუსაღებას.

როდემდის უნდა გასტანოს ყველა ამან, როდის მოეღება ბოლო უმსგავსსა და არა საკადრის საქციელს ანარქიის გამოსაწვევათ.

გ. ყორჩიყაშ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო — დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.

მ. № 63 დილის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.

---


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის — ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

[illegible]ლექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მ ო ნ ს ე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სასრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—40


სტამბა „კავკასია", გაზეთის შესახვევი № 4.